ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

5 იანვარი შაბათი 1991 № 2 (11635)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


# ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო...

„ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავლით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს:

სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავლით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა.

...და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმაი იგი მარიამის თანა, დედისა თვისისა და დავარდეს და თაყუანისცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქროი, გუნდრუკი და მური“, (ახალი აღთქმა, II — 1, 2, 11).

შემდგომად ამისა, მეფე ჰეროდემ შეკრიბნა მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი და ჰკითხა: სად დაიბადა ქრისტე? (რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის მეფობას).

ხოლო მათ უპასუხეს: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ნაწინასწარმეტყველებია:

„და შენ, ბეთლემ, ქუეყანა ეგე, იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსის ერი ჩემი ისრაელი“.

**25 დეკემბერს, ახალი სტილით 7 იანვარს, მართლმადიდებელი საქართველო იდღესასწაულებს ხორციელად შობას უფლის ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

**ვულოცავთ ამ დიდ დღესასწაულს ქართველ ერს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს. ვინც ცხოვრობს უფლის კანონებით. რწმენით განათლებული უოფილიყოს მომავალი ჩვენი.**

ამრიგად აღსრულდა იდუმალი წინასწარმეტყველება:, მამა ღმერთმა თავისი მხოლოდშობილი ძე მოგვივლინა ადამიანებს ცოდვებისაგან გამოსახსნელად და სიყვარულის გზაზე დასადგომად, რამეთუ თავად ღმერთი სიყვარული არს, ხოლო ქრისტეს მცნება: „იყვარებდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ“, ადამიანთა მოდგმისათვის გზის მანათობლად იქცა.

ქრისტეს დაბადებას ზეიმით აღვნიშნავთ, როგორც დასაბაგაში, მაგრამ ამით მის დიდებას არაფერი დაჰკლებია, რამეთუ იგი „მოვიდა მსახურებად და მიცემად სული თავისი სახსრად მრავალთათვის“.

ქრისტეს დაბადებას ზეიმით ავღნიშნავთ, როგორც დასაბამს სიცოცხლისა, სიყვარულისა, სათნოებისა და ზეციურ საკვირველებათა, რომლისაკენაც სარწმუნოებრივი კიბე გაიდო და ამ კიბეზე მხოლოდ მართალნი და გულით წმინდანი ვლენ...

ქრისტეშობა ქართველთა უწმინდესი დღესასწაულია. მრავალი საგალობელი მიეძღვნა შობის უნეტარეს დღესასწაულს, მრავალი წმინდა რიტუალი და ტრადიცია დამკვიდრდა და ყველანი მოუთმენლად ველით ამ მარადიულ სასწაულს, როგორც განმახლებელსა და განმამტკიცებელს ჩვენთა ზრახვათა და რწმენათა და ვამბობთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

## ეს ჩვენი ისტორიაა

# გელათის მოზაიკა







**გელათის** მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთის მე-11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელას ხეობაში. ანსამბლში შედის სხვადასხვა დროინდელი შენობები (ძირითადად XII-XIII სს).

მონასტრის მთავარი ეკლესიის „ღვთისმშობლის“ ტაძრის კონქს ამკობს XII ს. ცნობილი გელათის მოზაიკა. აღსანიშნავია ტაძრის მოზაიკისა და ფრესკების შერწყმა, რომლის მსგავსი საქართველოში არსად არ გვხვდება. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი ჩვილით ხელში, აქეთ-იქით მთავარანგელოზები გაბრიელი და მიქელი უდგანან. ფიგურები გამოსახულია ოქროსფერ ფონზე. მიქელ მთავარანგელოზს აცვია მუქი მწვანე ფერის სამოსი და ფერადი ქვებით მორთული მდიდრულად მოქარგული ლორონი, გაბრიელ მთავარანგელოზის ტანსაცმელი შედარებით სადაა.

მოზაიკის მთელი ფონი შესრულებულია მჭიდროდ მოწყობილი ფერადი სმალტისა და კირქვის სხვადასხვა ზომის ოთხკუთხი კენჭებით.

გელათის მოზაიკა დავით აღმაშენებლის ეპოქის მონუმენტური ხელოვნების მაღალმხატვრული, დახვეწილი გემოვნებითა და ვირტუოზული ტექნიკით შესრულებული ნაწარმოებია.

გელათის „ღვთისმშობლის“ ეკლესიის XII ს. მონუმენტური მოზაიკის სარესტავრაციო სამუშაოები შესრულებულ იქნა სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების უმაღლესი კატეგორიის მხატვარ-რესტავრატორის კარლო ბაკურაძის მიერ 1986-1990 წლებში. სარესტავრაციო სამუშაოების წარმატებით ჩატარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მხატვარ-რესტავრატორებმა — ვლადიმერ გიორგაძემ და ზაზა მეგრელიშვილმა.

**ნოდარ კუხავა**

**თამაზ ქიქავას ფოტოები**

გამოხმაურება

# ენამ უყივლა... ანუ დეპუტატმა სანაძლეო მოიგო!

„ფეკალური იდეოლოგიიდან ჰოლოგრაფიულ კეთილდღეობამდე" — ასე ერქვა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს ამირან კალაძის წერილს, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 14 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ახლადშემოღებული რუბრიკით — „დეპუტატის მოსაზრებები".

წერილში ჩვენი დღევანდელობისათვის დამახასიათებელი რამდენიმე მტკივნეული პრობლემაა წამოჭრილი და გაკეთებულია ამ ავტორისათვის საერთოდ დამახასიათებელი მახვილგონივრული დასკვნებიც, რომლებიც პირადად ჩემთვის, როგორც რიგითი მკითხველისათვის, სავსებით მისაღები და გასაზიარებელია. ხოლო თუ ამ წერილს, როგორც მომდევნო ნომერში რედაქცია იუწყებოდა, „მკითხველთა არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მოჰყვა", ეს ისევ და ისევ ამ წერილის პუბლიცისტურ ღირსებებზე მეტყველებს და არამც და არამც მის ნაკლზე!

ისე რომ, რედაქციას მკითხველთან მოსაბოდიშებელი არაფერი ჰქონდა, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელი და მხარდასაჭერია რედაქციის ახალი ინიციატივა — რაც შეიძლება ახლოს მიიტანოს მკითხველამდე მკითხველების მიერვე არჩეულ დეპუტატთა ნაფიქრ-ნააზრევი, იდეები, წინადადებები". მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ ახალი რუბრიკით დღემდე დაბეჭდილი ორი წერილის (ა. კალაძე, გ. პეტრიაშვილი) მაღალი დონე შემდგომშიც ჰქნეს შენარჩუნებული! ღმერთმა დაგვიფაროს ისინი მკითხველებში ერთგვაროვან რეაქციას იწვევდნენ! დღეს ასეთი რამ ანაქრონიზმი უფრო იქნებოდა!

მაგრამ, სხვისი არ ვიცი და, მე რედაქციის ეს მინაწერი მთლად სარწმუნოდ არ მომეჩვენა.

ჯერ ერთი, საკითხავია, როგორ მოასწრო ერთ დღეში იმდენმა მკითხველმა ა. კალაძის წერილზე ასეთი „არაერთგვაროვანი გამოხმაურება"? მეორეც, — რატომ არ შემოგვთავაზა რედაქციამ, თუნდაც ორიოდე დღის დაგვიანებით მაინც, ამის დამადასტურებელი თუნდაც ერთი წერილი — სადაც ასე თუ ისე უარყოფილი იქნებოდა დეპუტატისეული მსჯელობანი და დასკვნები?

ან როდის მოეწყო რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ამ წერილის საჯარო განხილვა და კენჭისყრა; საიდან იცის რედაქციამ, რომ „ა. კალაძის თვალსაზრისს დეპუტატთა უმრავლესობა არ ეთანხმება"?

არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ რედაქციამ ამ მინაწერით, უბრალოდ უკანა რიცხვით გააკეთა ის, რაც თავიდანვე, ანუ ახალი რუბრიკის შემოღებისთანავე, უნდა გაეკეთებინა, კერძოდ, ის განცხადება, რომ „დეპუტატის მოსაზრებები" მართლაც დეპუტატის მოსაზრებებია ამ სიტყვის აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით და მათი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პოზიციასთან გაიგივება ელემენტარულად არასწორი იქნებოდა", — ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად (თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდა!), 14 დეკემბრის ნომერშივე ან. წინ უნდა წამძღვარებოდა ა. კალაძის წერილს, ან ბოლოში, როგორც რიგი და წესია!

ეს — სხვათა შორის.

ახლა კი თვით წერილში წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის შესახებ. მაინც, რა ვერ გაიგეს ან როგორ გაიგეს მკითხველებმა, რას არ ეთანხმება „დეპუტატთა უმრავლესობა"?

იქნებ იმას, რომ „... ატენის და ატენის „ლპობადი კაპიტალიზმი" ნაირ-ნაირ სალაფავს კაცობრიობას ნათელი მომავლის მშენებელ კომუნისტურ მოსკოვს! საბჭოური ბედნიერება და კეთილდღეობა კი, როგორც ყველამ გამოვცადეთ, ქალზედ ჰგავს ჰოლოგრაფიულ გამოსახულებას, რომელიც არის და არც არის..."?

... იქნებ იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის შეპირებული იმპორტული დახმარებიდან მოსკოვს ჩვენთვის „გამოხრული ძვლის" მეტი მართლაც არაფერი გაემეტება? ალილო და ზვალაო, ამას მალე თავადვე დავინახავთ!

... იქნებ იმას, რომ თუ დახმარებაა, უფრო უპრიანი იქნებოდა, საქართველოს არჩივი „მოსკოვის მიმღებ-გამანაწილებელ პუნქტში" კი არა, უშუალოდ ჩვენი მისამართით იგზავნებოდეს? რაო, დანიელების მიერ გამოგზავნილ „საშობაო საჩუქარში", თუკი იგი მართლაც მოაღწევს ჩვენამდე, ისევ და ისევ მოსკოვს უნდა ვუთხრათ მადლობა?

... იქნებ იმას, რომ „ვირეშმაკული" რუსული პოლიტიკით, როგორც ცნობილია, ქართველები ყოველთვის განტევების ვაცებად მიჰყავდათ სამეფო კარზე, რათა ჯერ მისი გენეტიკური შესაძლებლობები ლიმონივით გამოეწურათ, მერე კი, ტრადიციულად, ისევ და ისევ, ულვაშა „კაცოსთვის" დაებრალებინათ ყველაფერი"...?

აი, აქ კი საგანგებოდ ღირს შეჩერება, რადგან ის, რაც ამ სტრიქონების შემდეგაა ნათქვამი, საკუთარი თვალით ვიხილეთ ტელეეკრანზე დეპუტატის წერილის დაბეჭდვიდან 6 დღის შემდეგ, — კერძოდ, 20 დეკემბერს, როცა, როგორც წერილის ავტორიც ვარაუდობდა, განტევების ვაცის როლში კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სწორედ ჩვენი თანამემამულე, იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი...

ახლა ნუ შევუდგებით იმის მარჩიელობას, რა იყო ის, რაც იმ დღეს სსრკ უმაღლესი საბჭოს IV ყრილობის სხდომათა დარბაზში მოხდა: ვნებათაღელვის მართლა სპონტანური აფეთქება, თუ ზემოდან საგანგებოდ, მ. გორბაჩოვის ხელით დაგეგმილ-დადგმული და შორს გამიზნული პოლიტიკური ფარსი? ამას უახლოესი დღეები დაგვანახვებს. მე მაინც მჯერა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ამ ინტერნაციონალისტი კომუნისტის ე. შევარდნაძის მკერდში მაინც ქართული გული ძგერს და საქართველოსათვის ეგზომ კრიტიკულ მომენტში, თუკი კრემლი მართლა საბედისწეროდ დაუპირისპირდება ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ბატონი ე. შევარდნაძე, მაღალ პოსტზე ყოფნის შემთხვევაში, ყველაფერს გააკეთებს ქართველი კაცის თვალში 9 აპრილს (სხვა ძველ ცოდვებზე აღარაფერს ვამბობ) ერთობ შელახული ავტორიტეტის რეაბილიტაციისათვის, იმისათვის, რათა საკუთარი სამშობლოს ისტორიაში სტალინისა და ორჯონიკიძის მსგავს რენეგატად არ იხსენიებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადზე ცხადია, რომ მისი პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლა დღევანდელ სიტუაციაში მხოლოდ და მხოლოდ წამგებიანი ნაბიჯი იქნებოდა საქართველოსთვის.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ იმ დღეს, 20 დეკემბერს, სასწაულებრივად ახდა დეპუტატ ა. კალაძის ხუმრობანარევი წინასწარმეტყველება: „სანაძლეოს ჩამოვალ, უახლოეს ხანებშიც თუ ასე არ მოხდეს, — წერდა იგი, — ის კი არა, აქვე შემიძლია ჩამოვთვალო 90-იანი წლების რუსული პრესის სათაურებიც": „რამდენ დოლარად მიჰყიდა შევარდნაძემ გერმანიას რუსეთი?!", „გურული ოინები რუსეთის საგარეო პოლიტიკაში", „რიბენტროპის არქივში აღმოჩენილი სტალინის ანდერძი შევარდნაძისადმი" და ა. შ.".

და აი, 90-იანი წლების ლოდინი არ დაგვჭირვებია: დეპუტატმა არასრულ ერთ კვირაში მოიგო სანაძლეო!

გაიხსენეთ პირზე დუჟმორეული „ქორი" — პოლკოვნიკების, ალქსნისისა და პეტრუშენკოს, გამოსვლები იმ სხდომაზე, როგორ იოხეს გული, რა ცოდვები არ აჰკიდეს იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელსაც მთელი. ამ ხუთი წლის მანძილზე, რაც მან ეს პოსტი ჩაიბარა, თურმე რუსეთის ინტერესები სულაც ფეხებზე ჰკიდებია და ყველაფერი უკეთებია იმპერიის დასაქცევ-დასანგრევად!

ესეც შენი იმპერიის სამსახურში ამაოდ დახარჯული ქართული ჭკუა და ქართული „გენეტიკური ენერგია"!

და ბოლოს: თუ ბატონი ე. შევარდნაძე მართლა საბოლოოდ იტყვის უარს დაუბრუნდეს პოლიტიკურ ასპარეზს, — ეს აქ, საქართველოში, ხომ არ უნდა აღვიქვათ იმის საგანგაშო სიგნალად, რომ კრემლში მართლაც მზადდება რაღაც საშინელი ანტიქართული აქცია, რომელშიც მას, ბატონ ედუარდს, აღარ სურს ხელი გაისვაროს? ხომ არ გააკეთა მან ამჯერად სწორედ ის, რაც, კაცმა რომ თქვას, უფრო უპრიანი იქნებოდა 1989 წლის 8 აპრილს გაეკეთებინა?

**დურმიშხან გოგოლაშვილი**

17. XII. 90 წ.

# ГОРБАЧИ და სხვები

ა. წ. 14/XII გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წავიკითხე ამირან კალაძის შესანიშნავი სტატია „ფეკალური იდეოლოგიიდან ჰოლოგრაფიულ კეთილდღეობამდე". ბრწყინვალეა მისი აზრების ფორმულირება, ანალიზისა და სინთეზის უნარი: „ხოლო ქართველთა ქართველენოვანი მგმობელი ტრადიციულად ყოველთვის ჰყავდათ კრემლში. ვირეშმაკული რუსული პოლიტიკით, როგორც ცნობილია ქართველები ყოველთვის განტევების ვაცებად მიჰყავდათ სამეფო კარზე, რათა ჯერ მისი გენეტიკური შესაძლებლობები ლიმონივით გამოეწურათ, მერე კი ტრადიციულად ულვაშა „კაცოსათვის" დაებრალებინათ ყველაფერი".

როგორც მოგეხსენებათ რუსთა შორის უმრავლესობა ბიოლოგიურად უკმარია; აქედან გამომდინარე კი არასრულფასოვნების პათოლოგიური კომპლექსი დამახასიათებელი კომპენსაციებით: კაცთმოძულეობა, შური, დაბრალება-გადაბრალება, კანიბალიზმი, უმადურობა, ლოთობა (როგორც გორკი ამბობს: „опоенный водкой"!) პროსტიტუცია, „რასპუტინიზმი", მათხოვრობა — მაწანწალობა, მენტორიზმი, თანაც გონებაჩლუნგი („Русское тупоумие" — ლენინი), რომ მისი თანდაყოლილი ეროვნული ბიოლოგიური უკმარისობისაგან გამოწვეულ უბედურებათა საწყისებს სხვა ერებში ეძებს. ივანე მრისხანეს მიერ 1547 წელს ნასროლი ლოზუნგი: „მოსკოვი მესამე რომია, მეოთხე აღარ იქნება" დღესაც ძალაშია. მათ ხომ ყველას შთააგონეს, რომ ისინი კაცობრიობას მხსნელად და მესიად მოევლინნენ! ხალხი, რომელიც შიმშილობის დროს საკუთარ შვილს ჰამს, კასრში ამარილებს, კატლეტებად ჰყიდის, როდიონოვს ტაშს უკრავს, უაიარაღო მლოცველი ახალგაზრდების წინააღმდეგ ბარსა და მომწამვლელ ნივთიერებებს იხმარს, შეიძლება ქრისტიანი ან საერთოდ ერი ეწოდოს?! იგი ხომ საშინელებათა კონგლომერატია!

ამირან კალაძის სტატიაში კარგად არის გახსნილი დამპყრობლის მათხოვრული სული: „ამ ბოლო ხანებში შეუიარაღებელი ყურითაც კარგად გვესმის თუ ვინ რას უყრის ამობრუნებულ უძირო ქუდში საბოლოოდ გალატაკებულ სსრკას!".

როგორც ცნობილია, ისტორიულად საუკუნეების მანძილზე შიმშილი და მათხოვრობა რუსეთის განუყოფელი თანამგზავრებია. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი ცნობილი კომპეტენტური მკვლევარ-ფსიქიატრის პროფესორ ი. ი. კოვალევსკის ნაშრომი გამოვიყენო («Петрь Великий и его гений» т. V. С. Петербург 1901 г.). წიგნში არის თავი „ნიშჩიე დუხომ" (რა ნიშანდობლივია!), სადაც ავტორი რუსეთის მათხოვარ მაწანწალობას სამ ჯგუფად ჰყოფს:

1. „Богомолы" — რომლებიც ეკლესიებთან დგანან („რიგის დაცვით" —) და მათხოვრობენ... აქედან ნაწარმოები გვარებია: ბოგომოლეცი, ბოგოლიუბსკი, ბოგოსლავსკი და სხვა.
2. Могильщики, რომლეიც სასაფლაოზე მათხოვრობენ. აქედან ნაწარმოები გვარებია: მაგილნი, მოგილნიცკი, მოგილევსკი და სხვა.
3. Горбачи, — რომლებიც მათხოვრობენ ქალაქიდან ქალაქში. ნაწარმოები გვარებია: გორბატოვი, გორბუნოვი, გორბატოვსკი, გორბაჩოვი და სხვა.

ისევ ამირან კალაძის ნააზრევს მინდა მივმართო: „ეტყობა ჩვენი სრული გამოფხიზლება დაიწყება მაშინ, როდესაც თბილისში გამოჭიმული პეტრე ბაგრატიონის ძეგლს მოსკოვში ან პეტერბურგში გადავიტანთ. რა უნდა საქართველოს კვარცხლბეკზე იმ ხმალს, რომელიც ერთხელაც არ მოქნეულა საქართველოსათვის?! ეს კაცი ხომ ამ ცხენითა და ამ ხმლით თავგანწირულად იბრძოდა იმ ხალხისათვის, რომელმაც ბოლოს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მისი ძვლები რუსეთის ყვავ-ყორნებს მიუყარა (ეს იმიტომ, რომ როდესაც ნაპოლეონმა მას თავის მხარეზე გადასვლა და სამაგიეროდ საქართველოში გამეფება შესთავაზა, პეტრემ უარი უთხრა „მე რუსეთს ვერ ვუღალატებო". იგივე გაიმეორა სტალინმა ჰიტლერის მიმართ! ), ასევე მოუქცნენ იოსებ ჯუღაშვილსაც! ასე მოექცევა დანარჩენ ქართველებსაც. ეს ხომ მისი უცვლელი და კანონზომიერი ტრადიციაა". ბატონ ამირანს მინდა დავემოწმო, რომ დიდი ილია ამას თავის დროზე მიხვდა. მას, ხომ რუსეთის იმპერიის მესვეურთაგან ნაბოძები ჩინ-მედლები არ უმშვენებდა მკერდს?! (როგორც მაშინდელ „მოწინავე პლეადას" — თავად-აზნაურობისას!). გვარიშვილობა არ უწყობდა ხელს თუ განათლება?!

და ბოლოს, ბატონი ამირან კალაძის სტატია სასურველია დაიბეჭდოს რუსულ და უცხოურ პრესაში.

ღრმა პატივისცემით
**ვლადიმერ ჟღენტი,**
ხარაჯიშვილის სახელობის კლინიკურ-ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი.

19. XII. 90.

**ქიშვარდ ისაკაძე**

## 1990

შემობრძანდი და
მწუხარე შეგხვდი,
მიბრძანდები და
გლოვით გაცილებ,
სისხლის წვიმები,
ვით ოთხმოცდა ცხრამ,
ვაჰმე, ვერც შენ რო
ვერ აგვაცილე!
ცრემლი და ურვა
ვერ აგვაცილე,
მაგრამ ჭკუით ბრმაც
კი ჰვრეტს აშკარად:
იმდენი შესძელ,
ჩვენს ისტორიას
შერჩები მარად
უქრობ ვარსკვლავად!
მართლაც ისეთი
შედეგი მოჰყვა
ჩვენს დროს, ერთადერთ
ნამდვილ არჩევნებს,
უსაძირკვლო
შენობის ნგრევას
ვერარა ძალა
ვერ შეაჩერებს!
დიდება შენდა!
ყველა წითელ წელს
შენ, ერთადერთმა
ლომმა აჯობე:
შენი ღვაწლია
უფსკრულისაკენ,
ვისაც მივყავდით,
რომ დავაჩოქეთ!
შენი ღვაწლია,
თავისუფლების
მზის ნაკურით რო
ვავსებთ ფიალებს
და მკვდრეთით აღმდგარ
ეროვნულ დროშას
ალთქმულ მიზნისკენ
მივაფრიალებთ!
ყველა ერთ მუჭად
რომ ვერ შეგვკარი,
ამაზე მწყდება
გული ძალიან,
თუმცა, ამაში
ბრალს შენ ვინ დაგდებს
ეს ჩვენი გენის
ზადის ბრალია!
ჩვენი მწიკვლია
სისხლ-ხორცს თუ მოძმეს,
რომ ვგმირავთ სიტყვით,
დანით თუ დენთით
და ფონს ვერ გავალთ,
ვიდრე არ წავალთ
იმ გზით, რომელზეც
გვითითებს ღმერთი!
თუმცა ჯაფაში
გალეული ხარ,
თეთრი სამოსით
გშვენის შემოსვლა...
კეთილი იყოს
შენი წასვლა და
შენი შემცვლელის
ჩვენში შემოსვლა!

## ექსპრომტად ანატოლი ლუკიანოვს!

**სსრკ სახალხო დეპუტატთა მე-4 ყრილობაზე 1990 წლის 19 დეკემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. ლუკიანოვმა ოს სეპარატისტებს დაუჭირა მხარი.**

ტოლია, ტოლია, ანატოლია, მაგრამ
მაინც ტოლია,
რად გგონიათ, რასაც ჩმახავთ,
უეჭველი სწორია!
ჩვენს სიმართლეს ყურს არ
უგდებთ, სხვისი გჯერათ ჭორია.
აქ ოვსეთი გადაგვკიდეთ,
იქით — ანატოლია!
მაგრამ რა ვქნათ, თქვენს ჯინაზე,
ბედიც თან დაგვყოლია:
თუ გაგვწირავთ, საარაკოდ დარჩეს
მოსაყოლია —
ჩაუშესკუს ხვედრი თქვენთან
იყოს მონაგონია!...

**გიზო ზარნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# წილკნის საეპარქიო — უძველესი ქრისტიანული კერათაგანი



ჩვენი მადლიანი, კურთხეული, მიწა-წყლის რელიგიური წარსულიდან, თავისი უძველესთაგანი ისტორიული ბედ-იღბლით გვხიბლავს საქართველოს საეკლესიო მშვენება, შიდა ქართლის სამწყსო-საწილკნო, რომელიც მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის ჩრდილოეთით იყო განფენილი და მოიცავდა ტერიტორიებს არაგვისა და ქსნის აუზებში და კავკასიის მთიანეთს.

საინტერესოა, რომ წილკნის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბების V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისში, ცენტრით სოფელ წილკანში, წინ უსწრებდა ქრისტიანული ხანის გარიჟრაჟზე ამ რეგიონში კაბადოკიელი ასულის, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს, კურთხეული სამისიონერო მოძღვრება-მოღვაწეობა, როდესაც მისი „სიტყვა ჭეშმარიტი“ ამ რეგიონის მაცხოვრებლებს, და, ამასთან, მთიელ წილკნელებსაც, მისწვდა. „მოქცევა ქართლისა“ გვამცნობს: „... წავიდა წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე... მოვიდეს და დადგენს წობენს და მიუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ...“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 126).

რა თქმა უნდა, ახალი სარწმუნოების მიღება, როგორც ყოველთვის და ყველგან, უმტკივნეულოდ არ მომხდარა, და, განსაკუთრებით, საქართველოს მთიან რეგიონში, სადაც წარმართული კერპთაყვანისცემა, ირანიდან შემოსული ვარსკვლავთა კულტი და ცეცხლთაყვანისცემა მკვიდრად იყო გამჯდარი მთიელთა სულებში და არც აპირებდნენ მოქცევას. მათ დიდი წინააღმდეგობაც გაუწევიათ მქადაგებლებისათვის. ამით ისინი, პირველ რიგში, ქართლის მეფე მირიანის მორჩილებას გაურბოდნენ. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ნინო და ეპისკოპოსი სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ საქმის ძალისმიერი გადაწყვეტისა, მირიან მეფის ერისთავმა „მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევაჲ შემუსნა კერპნი მათნი...“ (იქვე).

აი, ასეთ ვითარებაში გაქრისტიანდა მთიულეთი და მთელი შემდგომი საუკუნეების მანძილზე ამ მთიანი თემების ურჩობა ქართლის მეფის მიმართ არ შეწყვეტილა და ეს, პირველ რიგში, მათ რელიგიურ დაუმორჩილებლობაში — წარმართული კერპებისა და ბომონების ალმართვაში გამოიხატებოდა ხოლმე.

სწორედ ამ რთული რეგიონის სულიერი დამწყემსვა ხვდა წილად წილკნის ეპარქიას. მისი თავდადებული ეპისკოპოსებიც ძალისა და ენერგიის დაუნანებლად ხელახლა დამოძღვრავდნენ ხოლმე ჭართალს, ხანდოს, მთიულეთს, გუდამაყარს და ჩრდილოეთ კავკასიაში ოსეთის მოსახლეობას. მთის ხეობებისა და შიდა ქართლის ბარის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ძლიერებისათვის.

მეფე მირიანის ძის, ბაქარის, დროს (IV ს. მეორე ნახ.) ამ მხარეში ქრისტიანულ-ალმშენებლობითი და სამისიონერო მოღვაწეობა არ შეწყვეტილა. სწორედ ამ მეფეს აუგია საეპისკოპოსოს მომავალ ცენტრში, სოფელ წილკანში, ერთ-ერთი პირველთაგანი ქრისტიანული ეკლესია-სამლოცველო შიდა ქართლში, რომელიც საუკუნეების მანძილზე მრავალჯერ გადაკეთებულა-განახლებულა, და ახლა ამ ადგილზე ღვთისმშობლის სახელზე ნაკურთხი გუმბათიანი ტაძარია აღმართული. (შემორჩენილია IV ს. ნაგებობის ნაწილიც, რომელსაც ამკობს წარმართული ხანიდან ქრისტიანულში გადმომავალი უნიკალური გეომეტრიულ-მცენარეული ორნამენტული მოტივები. ასეთი ნიმუშები კი არც ისე ბევრი გადაურჩა ჟამთა სვლას!).

წილკნის საეპისკოპოსოს გაფორმებას V ს. ბოლოს რომ მძლავრი რელიგიური და მოღვაწეობითი წინამძღვრები უსწრებდა წინ, ადასტურებს ამ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც. კერძოდ, სხვადასხვა უნიკალურ აღმოჩენებს შორის, განსაკუთრებით საინტერესოა ადრექრისტიანული ხანის თლილი ქვით ნაგები აკლდამა, რომელიც, როგორც ჩანს, მაღალი რანგის საეკლესიო წარმომადგენელთა, პირველთაგან ქრისტიან ღვთისმსახურთა, განსასვენებელი ყოფილა. თ. ყაუხჩიშვილის განმარტებით, ბერძნულად შესრულებული აქ არსებული წარწერა გვიმხელს მათ სახელებს და გვამცნობს, რომ: „მე ტიკასმა და ბერმა ჩემმა ამბაფარანუსესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისაგან ჩვენთვის, პაპრიუპასი, ისდიგერდესი ასევე აქ განისვენებენ“. აკლდამა შემკულია ქრისტიანული სიმბოლოებით. (თ. ყაუხჩიშვილი, წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა, „მაცნე“, ისტ. არქ. და ხელ. სერია, 1982, გვ. 135).

ვახტანგ გორგასალის დროს (V ს. მეორე ნახ.) მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმები გატარდა: ქვეყანა დაიყო საეპისკოპოსო ერთეულებად და განისაზღვრა კიდეც მათი საზღვრები, ქართლში დაწესდა კათოლიკოსობა და სხვ. წილკნის საეპარქიოს წარმოშობის საწყისების გასარკვევად განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სწორედ ამ პერიოდში ვახტანგ მეფისა და ჩრდილოეთ კავკასიაში ოსთა თემების დამოკიდებულების საკითხი. საქმე იმაშია, რომ ოსთა ექსპანსია სამხრეთით I-IV საუკუნეებში გამუდმებით მიმდინარეობდა. ვახტანგმა ბრძოლით დაიმორჩილა ოსეთი და საქმის სასიკეთოდ დასაგვირგვინებლად მან ქრისტიანული რელიგიაც მოიმარჯვა. მატიანე გვამცნობს: „... დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდებთ და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსლვვად დიდთა მათ ნათესავდა ოვსთა და ყივჩაღთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა...“. სწორედ ამის შემდეგ, წილკნის ეპარქიას დაეკისრა მთიულეთის მოსახლეობის ქრისტიანულ წესზე მოქცევისა და დამოძღვრის განსაკუთრებით ძნელი და საპასუხისმგებლო მისია.

...ჟამთა სიავეს გადარჩენილ ზოგიერთ დოკუმენტურ წყაროთაგან ერთ-ერთ პირველ წილკნელ ეპისკოპოსად დვინის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიება ენოქი (506 წელი) (ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 97)...

... საქართველოს რელიგიურ-საეკლესიო გაძლიერების გზაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების სამისიონერო და ალმშენებლობით მოღვაწეობას VI ს-ში. წმინდა იოანეს ერთ-ერთი მოწაფე ყოფილა სასწაულმოქმედად ცნობილი ისე, რომელიც 50-იან წლებში აკურთხეს წილკნის ეპისკოპოსად. სწორედ მის სახელს უკავშირდება ამ სამწყსოს განსაკუთრებული გაძლიერება-განმტკიცება, მრევლის შემატება, ეკლესიების მშენებლობა და მთიულეთის დამოძღვრა: „ფრიადნი ურწმუნონი სწავლითა მოაქცივნა, მოძღვრება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისსა...“ მრევლის რწმენაში განსამტკიცებლად წმინდა ისეს, ღვთის შეწევნით, მრავალი საკვირველი საქმე ჩაუდენია. მათ შორის, მდინარე ქსნიდან თუ ტყვილიანიდან რუს წყალი გაუყვანია წილკნის ურწყავი მიწებისათვის: „დაბასა მას უწყლობითა სასოწარკვეთილ. იყვნეს... აღიღო კუერთხი თვისი, დღესა ერთსა, შესრულმან ვედრებასა წარმთქმელმან წინაშე ხატისა დედისა ღმრთისასა. მიიწია ქსნისა პირსა, უბრძანა წყალს მას: „ძლიერებითა ჩუენისა იესო ქრისტესითა და ღვთისმშობელისა მარიამისათა, გიბრძანებ მდინარეო, გამოვედ და შემოუდეგ კუალსა ჩემსა, და მოსდევდი წუერსა კუერთხისასა. უვალსა და უგზაურსა ალაგსა შემოუდგა, ჰყვებოდა ვითარცა მონა...“ (ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოც., I, გვ. 212).

ამ ღვაწლმოსილ მამას თავისი ქვეყნიური მოღვაწეობა დაუსრულებია წილკანში და აქვე, მის სამწყსო ტაძარში, დაუდვია სამუდამო ბინა.

...ქართლში მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს, VIII-IX სს-ში, წილკნის საეპისკოპოსო მახლობელ ტერიტორიებს (სამუხრანოსთან ერთად) ისაკუთრებენ კახეთის მმართველები და, კერძოდ, ზედაზნის ციხის მეპატრონენი, ძაგანის ძენი. 1123 წელს „ანდერძში შიო მღვიმისადმი“ დავით აღმაშენებელმა ბრალი დასდო ერისთავებს საეპარქიო მიწების დატაცებაში. მცხეთას საქონებელნი მისტაცესო, ასევე წილკანსაც, მღვიმე ხომ სახლად გაიხადესო — გვამცნობს საბუთი. (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 16). ამ საქმიანობაში ხელი საერო ფეოდალებისათვის თვით წილკნელ ეპისკოპოსს შეუწყვია, რომელიც ძაგან ერისთავის ოჯახიდან ყოფილა. დავითს საეპარქიოს ეს ტერიტორიები მეფის ტახტისათვის დაუმორჩილებია, ხოლო შიო-მღვიმე სამეფო მონასტრად უქცევია. 1123 წელს ძაგან ერისთავი ხელთ იგდო. საეკლესიო კრებამ კი მისი ძმა მოდისტოსი, წილკნელი დაამხო.

...შუა საუკუნეების მანძილზე სოფელი წილკანი იყო ეპისკოპოსთა რეზიდენცია. აქედან დიდი მადლი და ძალა ეფინებოდა საწილკნოს მრევლს. ადგილობრივი და მთიელი მოსახლეობის დასამოძღვრავად დადიოდნენ სახელგანთქმული ეპისკოპოსები. აქვე, ღვთისმშობლის წმინდა ტაძარში, მიმდინარეობდა საინტერესო ლიტერატურულ-მწიგნობრული მოღვაწეობა, აქ გადაიწერა „თვენი“, თუ „იაკობის ჟამისწირვა“ (XI ს.), დაიწერა ამბროსი მიქაძის „წიგნი ალსარებისა“ თუ „ღვთისმშობლის საგალობელი“ და სხვ. (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. V, თბ., 1962, გვ. 224). აქვე არსებობდა თურმე მდიდარი ბიბლიოთეკა.

...1669 წელს მეფე შაჰნავაზისა და კათოლიკოს დომენტის ბრძანებით, წილკნელ ეპისკოპოსს რომანოზს შეუდგენია მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო — „წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი“, რადგან ქსანზე რატიშვილთან წირვაზე მიმავალს, ძველი ალწერები ბარგთან ერთად ქსანში ჩასცვივნია და ახალი აღწერების შედგენა საშური საქმე გამხდარა. ამიტომაც, ამ საბუთში საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი საწილკნოს კუთვნილი ტერიტორიები არაგვსა და ქსანს შორის, სულ. 52 სოფელი და ანანური, ზევით მთიულეთი, წილკნელის მიგებებისა და გასტუმრების წესები და ვალდებულებები და სხვ.

„სამწყსოს სიგელიდან“ გამოსჭვივის ის დიდი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მთიელ მოსახლეობასა და არაგვის ერისთავს ზაალს შორის. ამავე დროს, მათ ქრისტიანული წესებიც შეუშლიათ და „ისევ კერპის მგზავსი იყვნენ“. ამიტომაც, ღვაწლმოსილ ეპისკოპოსს, რომანოზს, რამდენიმეგზის დასჭირვებია მრევლის ხელახლა დამწყემსვა და დამოძღვრა. ქაისხეველები მაინც გამოსულან აჯანყებით, მაგრამ ბოლოს, ზაალ ერისთავის მიერ შევიწროვებულებს, ისევ წილკნელისათვის შეუვედრებიათ თავი. (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 560).

...1746 წელს წილკნელ მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ერეკლე მეორისაგან „სამწყსოს განახლების სიგელი“ ებოძა, რადგანაც ახლა არაგვის ერისთავსა და წილკნელს შორის ჩამოვარდნილა უკმაყოფილება. მწყემსთმთავრისათვის ანანურის ზევით შესვლის უფლება აღარ მიუციათ ერისთავის განკარგულებით, რითაც ეპარქიას ჩამოაშორეს მთიულეთი. ამ არასამართლიან გადაწყვეტილებას მხოლოდ ერეკლე მეფის სპეციალური ბრძანება აღუდგა წინ. (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 396).

საეპარქიოს შეწირულობებს არ აკლებდნენ მეფენი და ერისკაცნი, რათა უფრო გაძლიერებულ-გაშენებულიყო ეს მადლიანი ნაკურთხი მიწა, მაგრამ არც მტრების შემოსევები, თუ ხმლის ტრიალი იყო უცხო წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის ქონგურებისათვის და გულადი წილკნელებიც იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს თავგამეტებით. სამწუხაროდ, საქართველოს საერთო დაძაბუნებასთან ერთად ამ რეგიონსაც გამოეცალა წინსვლის საფუძველი. მტერთა მუდმივი ძალმომრეობის და ლეკიანობის გამო თვით ეპისკოპოსებიც კი არიდებდნენ თავს სათარეშოდ გადაქცეულ ამ ადგილებს: 500 სოფლიდან მხოლოდ ორმოცდაათიღა გადარჩენილა.

...1800 წლისათვის წილკნის ეპარქიის მღვდელმთავარი იწოდებოდა მუხრანის, ორივე არაგვისა და ბაზალეთის ეპისკოპოსად. ჰყავდა თავის გამგებლობაში ორი ქორეპისკოპოსი: ერთი კავკასიის სიონში და მეორე ბოდორნაში და რიგით მეოთხედ ითვლებოდა ქართლში. აერთიანებდა 80 ეკლესიას.

...რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, გარეშე ძალა ცდილობდა ჩვენი ტრადიციული საეკლესიო სტრუქტურები გაემარტივებინა. ეს, პირველ რიგში, საეპისკოპოსოების გაუქმებაში გამოიხატა, რათა უფრო ადვილი სამართავი გამხდარიყო ქვეყანა. პირველს სწორედ წილკნის საეპისკოპოსოს „გაუმართლა“, როდესაც 1803 წელს გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და საეკლესიო მოღვაწე, მთავარეპისკოპოსი წილკნისა იოანე ქარუმის ძე. ეპარქია გააერთიანებს სამთავისთან და ამით, ფაქტიურად, გააუქმეს. შემდეგ მისი ბედი გაიზიარა ნიქოზის საეპარქიომაც, რომელიც შეუერთეს მათ. ბოლო წილკნელ-სამთავნელ-ნიქოზელი ქორეპისკოპოსი გერვასი მაჭავარიანი კი 1817 წელს გარდაიცვალა. (აქტები, II, გვ. 264). ამის შემდეგ წილკნის უძველესი ეპარქია გაუქმებული ყოფილა მთელი 100 წლის განმავლობაში, სანამ 1917 წელს არ აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ ამჯერადაც არ განახლებულა ღვთისმშობლის ტაძარი და წილკნელი ეპისკოპოსები მცხეთის სვეტიცხოველში ავედრებდნენ უფალს თავიანთ სამწყსოს. ვინ იცის, რამდენ მათგანს ჩაჰყვა აუხდენელ ნატვრად საწილკნოს ყველა ტაძარში ზარების აგუგუნება მცხეთიდან კავკასიონამდე. მით უმეტეს, რომ ათწლეულების მანძილზე ტაძრის ნაკურთხ კედლებში დიდხანს ყოფილა სხვადასხვა დანიშნულების „სამეურნეო დაწესებულებები“, მაგრამ ზეციური მადლი, როგორც ჩანს, ისევ გადმოეფინა საწილკნოს ამდენი ხნის ურწმუნოების შემდეგ... დიახ, 1988 წლის ნოემბერში ღვთისმშობლის ტაძარმა მოუხმო თავის შვილებს ღვთის სადიდებლად და დატრიალდა წირვა-ლოცვის მადლი. ეპარქიის განახლების პატივი 1984 წლიდან ერგო ეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი). საბედნიეროდ, ამოქმედდა ყაზბეგის სიონის, მჭადიჯვრის, ანანურის, მუხრანის, ცხინვალის, სნოს და სხვა წმინდა ტაძრები საეკლესიო პირთა და მრევლის შეწევნითა და გულისხმიერებით, მაგრამ საქმეს რა გამოლევს მამულიშვილებისათვის. მითუმეტეს, რომ უყურადღებობისაგან დანგრევის პირას მყოფი სალვთო ტაძრების მოვლა-პატრონობა, პირველ რიგში, ჩვენს სულებს მოესალბუნება იმედად.

წილკნის საეპარქიოს უდიდესი განძი და საუნჯე ყოფილა საქართველოს ეკლესიის შესანიშნავი საწმინდე — სასწაულმოქმედი ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც, გადმოცემით, ლუკა მახარებლის დახატულია და დიდი ზებუნებრივი მადლით არის ცნობილი. წილკნის ღვთისმშობლის სახეთა დიდებულება და სილამაზე ძველთაგანვე ანცვიფრებდა და უდიდესი პატივისცემითა და კდემამოსილებით განაწყობდა მნახველს. ხატი შესრულებულია ხატწერის უნიკალური მეთოდით, ენკაუსტიკის ტექნიკით და შემკულია მინანქრით. ლ. ხუსკივაძე მას ქართული წარმოშობისად მიიჩნევს და ათარიღებს მეცხრე საუკუნით, ხოლო სხვანი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად აღიარებენ და მეათე-მეთორმეტე საუკუნეებით ათარიღებენ.

ამ წმინდა გამოსახულებას ღვთისმშობლისას თაყვანისცემითა და შევედრებით მოიხსენიებდნენ საქართველოს ყველა კუთხეში. მის სადიდებლად და თავის შესავედრებლად შორეული კუთხეებიდან იყრიდნენ თავს ჰირისა თუ ლხინის დროს, ქართლელები, მთიულები, მოხევეები და, საერთოდ, კავკასიის მთიელი მოსახლეობაც. (1925 წლიდან წილკნის ღვთისმშობლის ხატი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჭედური ხელოვნების საგანძურში მოუთავსებიათ).

რაოდენ სასურველია, რომ სოფელი, წილკანი აღდგეს რელიგიურ-საეკლესიო ცენტრად შიდა ქართლში. მითუმეტეს, რომ საეპისკოპოსის ისტორიულ ტერიტორიებს შეემატა სამაჩაბლოს, ყოფილი ნიქოზისა და სამთავისის საეპარქიოების ადგილთა ნაწილიც. საწილკნოს გაძლიერება დიდ ძალებს შემატებს მცხეთის წმინდა ქალაქის ტრადიციულ ძლიერებასაც, რომელიც, თავის მხრივ, წმინდა მადლსა და კურთხევას არ აკლებდა საეპარქიოების ცხოვრებას.

შემოგვცქერის საკვირველი ხატი დედისა ღვთისა და იმედი არ გვშორდება, რომ იგი თავისი კურთხეული მადლით დალოცავს თავისი სამწყსოს მომავალს და არ მოაკლებს მის შვილებს მფარველობას.

წერილს კი დავასრულებთ, ამდენ ჟამთა სიავეს სასწაულად გადარჩენილი, წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათში მაცხოვრის დიდებულ გამოსახულებასთან არსებული წარწერით: „უფალო-უფალო გადმოიხილე ზეცით და იხილე და შეიწყალე შვილნი შვილთა შენთანი და ადგილნი...“

**ლალი ცერაძე**

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრულიად საქართველოს

ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს,
საქართველოს ეროვნულ კონგრესს,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს,

**ბატონებს აკაკი ბაქრაძეს**
**ზვიად გამსახურდიას**
**თენგიზ სიგუას**
**ირაკლი წერეთელს**
**გიორგი ჭანტურიას**

**მამულიშვილნო!**
**ღვთისშვილნო!**

გილოცავთ რა ახალ 1991 წელს, მოგიწოდებთ, ერთსულოვნად მხარი დაუჭიროთ კიდევ ერთ ქრისტიანულ და კეთილშობილურ იდეას — გამოცხადდეს 1991 წელი საქართველოში სათნოებისა და ქველმოქმედების წლად, ხოლო 1991-2000 წლები — სათნოებისა და ქველმოქმედების ათწლეულად.

სათანადო ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა სახელმწიფო ორგანომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ყველა მოქალაქემ.

დღეს საქართველოში, არაზუსტი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აღრიცხულია ორასი ათასზე მეტი ინვალიდი, მათ შორის, ოცი ათასამდე ბავშვი, ათი ათასამდე მწოლიარე, ხანდაზმული და მარტოხელა ადამიანი, რომელთა უმრავლესობაც ენით აუწერელ ყოველმხრივ გაჭირვებას განიცდის...

ჩვენი თანადგომა ესაჭიროება ობლებს, მრავალშვილიან დედებს, მატერიალურად ნაკლებადუზრუნველყოფილ ოჯახებს, რეპრესირებულებს, პატიმრებს...

ზემოთაღნიშნულიც რომ არა, დღეს, როცა იმსხვრევა კრეტსაბმელი ადამიანის სულის უგრძნობლობისა და, გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა გამო, ყველას განურჩევლად ყველას, ჯანმრთელსა თუ ინვალიდს, სულს გვიხუთავს ურთიერთგაგების, ურთიერთნდობისა და ურთიერთსიყვარულის დეფიციტი, ვფიქრობთ, თუკი მოყვასის მიმართ ჩვენს ამქვეყნიურ ვალს აღვასრულებთ, უფალი ღირსგვყოფს, რომ ჩვენს სულსა და გულში იმეფოს...

ერთი სიტყვით, სათნოების გარეშე ჭეშმარიტი სულიერი ბედნიერება, ჭეშმარიტი თავისუფლება ყოვლად წარმოუდგენლად გვესახება.

დაე, ყველას გვიმაღლებდეს სულს, გვითბობდეს გულს და გვიბრწყინებდეს ცხოვრებისეულ გზას სახარებისეული მცნება:

„გიყუარდეს მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი".

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ზაზა სიხარულიძე,**
**სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი**

# ადამიანის უფლებების დაცვისათვის

კაცობრიობის განვითარების ისტორია როგორც დადებით, ასევე უარყოფით საზოგადოებრივ მოვლენებს მოიცავს.

ჩვენი პლანეტის ცივილიზაცია, მიუხედავად განვითარების ზიგზაგისებური ხასიათისა, წინ მიიწევს, განიცდის პროგრესს. იხვეწება და მოქნილი ხდება საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წყობის სტრუქტურები, ამასთანავე ღრმა დემოკრატიზაციას განიცდის იგი.

ყველაფერი ეს შედეგია სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა თავდადებული, უანგარო და დაუცხრომელი ღვაწლისა. ისინი არ უშინდებოდნენ ჭარბ ძალებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბოროტის მხარეზე იდგნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ დაემარცხებინათ კეთილი, იცავდნენ პიროვნებისა და ერის უფლებებს, მიუხედავად იმისა მათ უხდებოდათ მოღვაწეობა პირსისხლიანი ტირანების, დიქტატორების ტოტალური რეჟიმის სახელმწიფოების არსებობის (პერიოდში) პირობებში.

პიროვნება და ერის თავისუფლება ურთიერთსიმეტრიულ დამოკიდებულებაში არიან, რის გამოც პიროვნების უფლების დაცვა მოიცავს ერებისა და ეროვნებების უფლებათა დაცვას და პირიქით.

საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ამა თუ იმ ფორმებით და მეთოდებით მოქმედებდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ალიანსები. ახლა კი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირები, რომლებიც ძალიან დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ ამ სფეროში.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მსოფლიოს მრავალ რეგიონში, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპასა და ბოლშევიკური იდეოლოგიით მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიაში უდიდესი ძვრები ხდება. თქმა არ უნდა, აღნიშნულ რეგიონებში ხშირად ირღვეოდა პიროვნების უფლებები, ხოლო ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ასეთი კატაკლიზმების, ქაოსის დროს აქ კვლავაც მრავლად ექნეს ადგილი როგორც პიროვნების, ასევე ერებისა და ეროვნებების უფლებების დარღვევას. ამიტომ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული კავშირი მიზნად დაისახავს უპირველესად დაიცვას პიროვნებები, ერები უფლებათა შესაძლებელი და მოსალოდნელი დარღვევისაგან. ასევე, ჩვენი მოღვაწეობის სფეროში ფართო ადგილი დაეთმობა საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი და სამართლებრივი სახელმწიფოების შექმნას, რომლებიც ე. წ. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშობიან. მტკიცედ დავიცავთ სიტყვის, პრესის, საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლებას. უპირველესად ჩვენი მოქმედების არეალი იქნება საქართველო და მთელი კავკასია. ასევე შევეცდებით ჩვენი მოღვაწეობა გავაგრძელოთ მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიაში და მთელ მსოფლიოშიც, რის შედეგად საშუალება მოგვეცემა ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე საქმის კურსში ვიყოთ მსოფლიო მასშტაბით და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მის მუშაობაში. ამასთანავე გავერთიანდეთ ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო ალიანსში. ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩამოვაყალიბოთ საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი. საამისოდ შეიქმნა ჩვენი საინიციატივო ჯგუფი. ეს კომიტეტი იქნება დეპოლიტიზებული, დეიდეოლოგიზებული საზოგადოება, მაგრამ იგი მჭიდრო კავშირს დაამყარებს ისეთ პოლიტიკურ პარტიებთან ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთი ჰუმანური პრინციპებით და მოქმედებებით ხელს უწყობენ პიროვნების უფლებათა დაცვას.

ჩვენი ყოველი მოქმედება და ჩანაფიქრი იქნება ეროვნულობის ჭრილში გააზრებული, ქართველი ერის რეალურ დამოუკიდებლობის გზების ძიებასთან მიმართებაში იქნება დაკავშირებული ყოველი ჩვენი საქმიანობა.

უახლოეს ხანში პრესაში გამოქვეყნებულ იქნება სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წესდებისა და პროგრამის პროექტი, რომელშიც უფრო ღრმად და ფართოდ იქნება წარმოდგენილი ამ კავშირის მიზნებსა და მომავალ საქმიანობაზე.

**საინიციატივო ჯგუფის სახელით:**
**ვაჟა ძლიერი,**
**სიმონ წერეთელი,**
**ნიკოლოზ სამხარაძე,**
**გია კერვალიშვილი,**
**კახა პიტნავა,**
**ფრიდონ ბრიგალაშვილი,**
**ნუგზარ კობახიძე,**
**ზაალ სიხარულიძე.**

---

**1989 წლის** 7 ნოემბრის „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა სტატია „საიდუმლოს გვიმხელს იბერიონთა საძმო". მე თქვენთვის უცნობი ყოფილი წევრი ვარ საძმოსი. მაშინ მეც დარწმუნებული ვიყავი გიორგი იონთა იბერიონის, იგივე გია მაზიაშვილის ვერსიის ჭეშმარიტებაში და ის „ძვირფასი მარგალიტები", რომელთაც თქვენ უხვად აბნევთ „ახალგაზრდა ივერიელის" ფურცლებზე, დიდი ხანია მოსმენილი მაქვს გია მაზიაშვილისაგან.

ადრე გია „ხილვაზე" დაყრდნობით გვარწმუნებდა, თქვენს მიერ ხსენებული „ეფუტის" (ეფუთის) არსებობაზე „ბერთა კლდეში". ათჯერ მაინც გადაიდო ის დათქმული; „ასტროლოგიურად გაანგარიშებული" დრო წიგნის ამოღებისა. ამაში ალბათ ნუნისელებიც და ამ ამბით დაინტერესებული ბევრი, მაშინ იქ ჩამოსულიც დამეთანხმება. ყოველივე ამან და ბევრმა სხვამ ეჭვი გამოიწვია ჩემში. სალი გონების თვალით შევხედე სიტუაციას, დავაკვირდი გიას საუბრებს, მის ქმედებს, მის მიერ ახლადშემოკრებილ საზოგადოებას (მხედველობაში მყავს რამდენიმე „ნათელმხილველი" და „მკურნალი" ქალბატონი), დავინახე, რომ ჭეშმარიტება და ღვთისიერობა მათი საქმიანობისაგან შორს იყო. დაუფარავად გამოვთქვი ყოველივე გიასთან. მას არ მოეწონა ჩემი შეწინააღმდეგება, მიხვდა, რომ მისგან გამიზნულ გზაზე არ გავყვებოდი. ამიტომ ჩემი ყოფილი მოსწავლეები, რომლებითაც „იბერიონთა საძმო" შევუქმენი, გამარიდა, — ჩვენი თანამშრომლობაც შეწყდა.

„დვრიტაში" გამოქვეყნებული მისი პირველი წერილიდან მივხვდი, ახალი ფანდი დააგო და თავდაპირველი „გამოცხადება" ნოეს კიდობანის აღმოჩენის ვერსიას ამოეფარა (ჩემი პასუხი მის სამ წერილზე იხ. „დვრიტაში", 9 ოქტომბერი, 1990 წელი).

გეკითხებით, რომელ საღვთო წიგნში ან წერილებშია მინიშნებული, რომ ნოეს კიდობანში „ეფუტიც" იდო, რომლის გამომზეურებას ამ გაზაფხულზე აპირებთ,

# ბატონ გივი ალაზნისპირელს!

ბატონო რიკიაშვილო, ნუ შეაწუხებთ თქვენს „მეფეს" ზუსტი დროის გამოკითხვით, რადგანაც წიგნიც თქვენი „უფლის" საკუთრებაა და მოვლენათა დროები და ნახევარდროები მხოლოდ „მისთვისაა" ცნობილი. ეს ხომ გიას საიდუმლოებაა? ამბობთ კიდეც ინტერვიუში.

ნუნისში ნოეს კიდობანის არსებობის შესახებ თქვენი „ღრმად ფილოსოფიური" ვერსიის განსჯა საზოგადოებისათვის მიმინდვია, მე მხოლოდ რამდენიმეს გკითხავთ: თუ კი თქვენი „ჭკვიანური გათვლით" (როგორც გაზეთში ამბობთ), წყლის ქვეშ ნოეს კიდობანში მყოფ ცოცხალ არსებათ შეექმნათ საარსებო მიკროკლიმატი, განა უფლისთვის შეუძლებელი იყო, მტრედისთვის შეექმნა ისეთი გარემო, რომ მას „ზეთისხილის რტო" მოეტანა?

რაც შეეხება ნუნისის გოგირდოვანსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ამდაგვარ სამკურნალო წყლების არსებობას, თავისი ახსნა აქვს, მაგრამ არა თქვენეული.

ბატონო გივი, თქვენ ამბობთ: „იბერიონთა საძმო" უშუალო კავშირშია დღეისათვის „ერთ" კედელზე „მიჯაჭვული ამირანის" პროცესთანო, „გვჭერა" მას შემდეგ, რაც „დვრიტას" № 12-ში ქალბატონმა ცირა ინწკირველმა, ამასთან და ბევრ სხვა „ბერთა კლდესთან" დაკავშირებულ საკითხებთან (როგორც თვითონ აღნიშნავს) „თავისი ცოდნით" პასუხი გასცა მაზიაშვილს, ხოლო უფრო ვრცლად, „განთიადის" მე-6, 7, 8 ნომერში. შესანიშნავი მიგნებები აქვს „თავისის ცოდნით" ამ ქალბატონს.

გთხოვთ, თქვენი ვერსიებით ნურც სვეტიცხოველს შეურაცხყოფთ, ნურც ლეგენდას „პრომეთესზე" და ნურც რომელიმე, ქართველი ერის წარსული დიდების მოლალადებელ, ძეგლს. არა მგონია, ასტროლოგი ჯონდო ტუხაშვილი თქვენს საქმიანობას გულისხმობდეს, როცა „დვრიტას" № 15-ში ამბობს: „საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევაო". ხალხის დასაბნევად და მოსატყუებლად თქვენ არავის და არაფერს არ ერიდებით (თუმცა გაზეთიდან ჩვენზე ამბობთ „ხალხს აბნევენო"), საღვთო წიგნებშიც ხელს ცუდად ურევთ, სჯობია თავში შესაქცევი სხვა რამ ნახოთ. თქვენ ამ „პროცესებით" ერთობით, შედეგზე კი არ ფიქრობთ. მართალია, ღმერთი მიმტევებელია, მაგრამ...

ნოეს კიდობანის „უკვე" აღმოჩენის შესახებ მსოფლიოს ქვეყნებს შევატყობინეთ ცოტაც მოიცადეთო", რას მოელით მათგან?, როგორც ამბობთ — ფანტასტიურ თანხას? ღმერთის საქმე, კაცობრიობის გადარჩენა ბიზნესის წყაროდ? ის ფასდაუდებელ საუნჯეს, რომელსაც ტყუილად დაეძებთ და რომელიც ღვთის ნებით თქვენისთანების ხელში არ ჩავარდება, უკვე „პოვნამდე" ფულზე აფასებთ? იმ ფულით, რომლითაც ქრისტე გაყიდეს? ვინა ხართ თქვენ?!

ახლა მივმართავ „გოგონას" — ქალბატონ ნათელას, (გოგონას, მგონი, თექვსმეტ წლამდე ასაკისას ეძახიან...) ის 1989 წლის შემოდგომის მიწურულს ჩემთან იყო, ბინაზე, 7 ნოემბრის „ახკომის" სტატიით დაინტერესებულა, რედაქციაში დაურეკავს, იქ ჩემი მისამართი მიუციათ; გიას დაეძებდა. გამომკითხა „საძმოს" საქმიანობისა და გიას დახასიათებული ნიშნების შესახებ. მაშინ მარტო იყო, „ის" ვანიკო არ ჰყავდა, შეიძლება ჰყავდა და არ გამაცნო. „გამომიტყდა", ბულგარეთში ვანგას ელაპარაკებოდა აზრით და იმ წიგნის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვეძებდით, ვანგას გარკვეული აზრი გააჩნდა, რომელსაც მხოლოდ გიას ეტყოდა. სჯეროდა, რომ ღვთის ნებით გია ვანგასთან მოხვდებოდა. ამ შემთხვევის გამოც გარკვეული აზრი გამოვთქვი მაშინ გიასთან, მაგრამ, როგორც ხედავთ...

ერთი წლის შემდეგ ამ „გოგონას" თურმე „ის" — ვანიკო აბატინებს, გიას მიერ აღმოჩენილ „ვემას". ამას გარდა, კიდევ აქვს საიდუმლო ნუნისთან დაკავშირებით გასამხელი, მაგრამ ვანიკო სდუმს. არ თვლის ჯერჯერობით საჭიროდ თქმას. სამომავლოდ, როგორც „გოგონა" ამბობს, ბევრ რამეში იქნება საჭირო ვანიკოს დასტური, ამიტომ, ვფიქრობ გახშირდება „კონტაქტები" ვანიკოსა და „გოგონას" შორის... გენიალურია!..

ვხედავ, ბატონო გივი, რა შესანიშნავი მიგნებაა ეს ფაქტი თქვენი ვერსიის განსამტკიცებლად.

კორესპონდენტს აინტერესებს გ. მაზიაშვილის აზრი: „სატანურია თუ არა ვანიკო"! სჯობდა თავად გიასათვის ეკითხა, რას ჰგავს შენი ქმედება და ვისგან, რის გამო არის გამოწვეული. იქნებ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა, გამოფხიზლებულიყო, თავი ენებებინა თავისი მკრეხელური სურათის გამოქვეყნებისა და მაცდური „აზრების" მიმობნევისათვის, თორემ უთავბოლოდ მყივან, ცრუ მამალს, რომელსაც დრო და სიტუაცია არევია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რაც ემართება...

ბატონო გივი, ეს ჩემი წერილი კრიტიკაა თუ ქებ, ამის განსჯა საზოგადოებისათვის მიმინდვია.

„ვისაც ყური აქვს ისმინოს, ვისაც თვალი აქვს ხედვიდეს"...

**მზია ფანცულაია**
**ფილოლოგი**

---

**1990 წლის** 15 დეკემბერს თბილისში შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის (ლდეპ-ის) საბჭოსა და პოლიტიკურ ორგანიზაცია დას-ის (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის) სათათბიროს გაერთიანებული კრება, მოწვეული ლდეპ-ის კონფერენციისა (24. XI. 90) და დას-ის ყრილობის (25. XI. 90) შესაბამის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

კრებამ დაადასტურა ხსენებული ორი პოლიტიკური ორგანიზაციის სრული იდეოლოგიური ერთიანობა და მათი საპროგრამო პრინციპების იდენტურობა, აგრეთვე ის მორალურ-პოლიტიკური თანხმობა და თანადგომა, რომლებიც არასდროს არ დარღვეულან ამ ორგანიზაციათა ინტენსიური და სისტემური თანამშრომლობის, ამჟამდა უკვე მტკიცე ტრადიციად ქცეულის,

# პოლიტიკურ კავშირ ლდეპ დას-ის
# განცხადება

მთელ მანძილზე. დადებითად შეაფასა რა ყოველივე ეს, კრებამ ერთხმად ცნო მიზანშეწონილად ლდეპ-ისა და დას-ის ორგანიზაციული გაერთიანება ფედერაციულ საწყისებზე დამყარებული პოლიტიკური კავშირის სახით და დაადგინა:

შეიქმნას პოლიტიკური კავშირი **ლდეპ/დას-ი** ამიერიდან თავის გარეთ მოქმედი, როგორც ერთი **პოლიტიკური ორგანიზაცია**, საერთო **იდეოლოგიის**, რომელიცაა **ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი**, საერთო **პროგრამისა** (რომლის საბაზისო დოკუმენტადაც მიღებულ იქნა ლდეპ-ის პროგრამა) და საერთო **წესდების** (კრების მიერ მის მთლიანობაში დამტკიცებულის) საფუძველზე.

მიღებული წესდების თანახმად, მოხდა ლდეპ-ის გამგეობისა და დას-ის პოლიტიკური საბჭოს გაერთიანება კავშირის გამგეობად, ხოლო ლდეპ-ის საბჭოსა და დას-ის სათათბიროსი — კავშირის სათათბიროდ. ამავე წესდებით კავშირის თავმჯდომარეებად, თანათავმჯდომარეთა სტატუსით, დამტკიცებულ იქნენ ფედერირებულ ორგანიზაციათა, ლდეპ-ისა და დას-ის, თავმჯდომარეები.

აღნიშნულ საორგანიზაციო საკითხთა მოგვარების შემდეგ კრება წარიმართა როგორც ლდეპ-/დას-ის სათათბიროს სხდომა, რომელზეც ერთხმად დამტკიცებულ იქნა ყველა პოლიტიკური განცხადება, წარსულში ცალ-ცალკე გაკეთებული ლდეპ-ისა და დას-ის მიერ.

გარდა ამისა, სათათბირომ იმსჯელა ახლადშექმნილი ორგანიზაციის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე, მათ შორის საარჩევნო ბლოკ „თავისუფლების" პოლიტიკურ ბლოკად გარდაქმნის შესახებ. განხილულ იქნა 1991 წლის 3 მარტისათვის დანიშნული მუნიციპალური არჩევნების და მასში ლდეპ-/დას-ის მონაწილეობის საკითხი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, კავშირმა უზენაეს საბჭოს წარუდგინოს მუნიციპალური არჩევნების კანონის თავისი პროექტი, რომელიც ამჟამად დამუშავების ბოლო სტადიაშია.

და ბოლოს, განხილულ და შეფასებულ იქნა ოქტომბრის არჩევნების შემდგომი პოლიტიკური ვითარება და ახალი უზენაესი საბჭოს მუშაობა. სათათბირომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების გამო პოლიტიკური განცხადების გაკეთება ამჟამად მიზანშეუწონლად ცნო იმ მოსაზრებით, რომ მისთვის ჯერ კიდევ მთლიანად გარკვეული არაა პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც გადაადგმევინეს ხელისუფლებას, არსებულ პირობებში, ასეთი ნაბიჯი.

---

**ზნეობა** და ხელისუფლება, ქრისტიანული მორალი და რეალური სახელმწიფოებრიობა — ამ თითქოსდა შეუთავსებელ ცნებათა შეთავსება წარმოადგენდა ქრისტიანულ მოღვაწეთა, დიდ მოაზროვნეთა, თუ პოლიტიკოსთა მრავალი თაობის ამოცანას.

# მონარქისტული იდეა და კაცობრიობის ბედი

კაცობრიობის ევოლუციის პროცესში ხდებოდა ქრისტიანული მსოფლმხედველობით დამუხტვა მუდმივად განვითარებადი მონარქისტული სახელმწიფოების მმართველობითი სტრუქტურებისა, რასაც საბოლოო ჯამში უნდა შეექმნა იდეალური სახელმწიფოს ისეთი ტიპი, რომელიც იწინასწარმეტყველა დიდმა პლატონმა — სახელმწიფო, რომელშიც ჰარმონიულადაა ერთმანეთთან შერწყმული თეოკრატიული, დემოკრატიული და მონარქიული მმართველობის პრინციპები.

ეგრედწოდებული „აღორძინების" პერიოდში დაწყებულმა ათეიზაციის პროცესებმა შეაჩერეს, შემდეგ კი უკუსვლით წარმართეს ქრისტიანული სახელმწიფოების ბუნებრივი ევოლუცია. მთელი წყება სისხლიანი რევოლუციებისა, თავაშვებული ღვთისმგმობელობა, ურწმუნოება და სხვა საშინელებანი იქცნენ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლად დაწყებული XVIII საუკუნიდან — დღემდე.

კაცობრიობა იქცა პოლიგონად იმ სისხლიანი ექსპერიმენტების მთელი სერიისა, რომელთა ერთადერთი მიზანია ზნეობისა და ქრისტიანული სამყაროს სულიერი საფუძვლების განადგურება.

ქრისტიანობის ჩასახვისთანავე წარმოუდგენლად დაიძაბა მუდმივი წინააღმდეგობა და ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ბნელი ძალები უძლურნი აღმოჩნდნენ ქრისტეს ჯვრის ტრიუმფალური მსვლელობის შესაჩერებლად, წმინდა სახარების მსოფლიოში გავრცელების აღსაკვეთად, მაგრამ ბრძოლა არ შენელებულა.

სხვადასხვა სახის სექტები საიდუმლო ორგანიზაციები ავრცელებდნენ იდეებს, რომელთა მიზანს შეადგენდა ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის საფუძვლების მეთოდური შერყევა და მთავარი დარტყმა სწორედ მონარქიზმის იდეაზე განხორციელდა.

დიადი მონარქისტული დოქტრინის ძირითადი პრინციპია სამეფო ტახტის სიწმინდე, რომელიც ხორციელდება ეკლესიის მიერ კანონიზირებული ლეგიტიმურობის (მემკვიდრეობითობის) ძალით. სამეფო სახლის კანონიერი წარმომადგენელი იღებს კურთხევას და სული წმიდა მოეფინება ტახტს, ქვეყანას, ერს. ამ პრინციპის უარყოფით ხელისუფლება კარგავს კანონიერებას ღვთის წინაშე და იგი აუცილებლად გადაიქცევა დიქტატურად. ხელისუფლება, რომელიც არაა ნაკურთხი ეკლესიის მიერ, მოკლებულია ღვთის მადლს, და არის უკანონო ნებისმიერი მორწმუნე ქრისტიანისათვის. კურთხევა შესაძლებლია მხოლოდ ისეთი პრეტენდენტისა, რომელიც სამეფო გვარის წარმომადგენელია და მემკვიდრეობის პრინციპიდან გამომდინარე — ერის წარსულსა და აწმყოს შორის ხიდად გვევლინება და ამავე დროს ღვთის ნების სიმბოლო და განსახიერებაა ამ ქვეყნად! აქედან გამომდინარე, მხოლოდ მონარქიაა ის ძალა, რომელმაც, ქრისტიანულ კანონებზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს რეალური და კანონიერი ხელისუფლება!

სწორედ ამიტომაა, რომ ქრისტიანობის მტრები თავიდანვე აწარმოებდნენ ომს მონარქიზმის, იერარქიულობის პრინციპის და რწმენის, როგორც სახელმწიფოებრიობის საფუძვლის წინააღმდეგ. პირველი დანაშაულებრივი ექსპერიმენტები კაცობრიობის წინაშე ანტიქრისტეს მიერ განხორციელდა ჯერ ნიდერლანდებში, შემდეგ დროებით — ინგლისში, და ბოლოს საფრანგეთში, იქ განხორციელებული ბურჟუაზიული რევოლუციების სახით. მასობრივი მკვლელობისა და ღვთისმგმობელობის ფონზე, აფრიალებულ იქნა ლოზუნგი — „ძმობა! ერთობა! თავისუფლება!" — რომელმაც გააბრუა ხალხი. ქრისტიანული მორალის ნორმებიდან ამოგლეჯილი ლოზუნგი იქცა იმ იდეოლოგიურ ხაფანგად, რომელშიც გაება კაცობრიობა და რომლის გამოც სასტიკად იტანჯება და კვლავ დაიტანჯება იგი.

რა არის „თავისუფლება" იმ საზოგადოებაში, სადაც მძვინვარებს სისასტიკე, გახრწნილება, კორუფცია, სიცრუე და სხვა?

რა არის „თანასწორობა" ისეთ ქვეყანაში რომელშიც ყველა ხელისუფლებისთვის იბრძვის, სადაც რეგვენს ბრძენი სძულს, ნაძირალა კი მტრობს ღირსებას?

რას წარმოადგენს „ძმობა" იმ ხალხისთვის, რომელიც არ სცნობს ღმერთს, როგორც ერთადერთ მამას და შემოქმედს?

განა ყოველივე ეს არ არის საზიზღარი და შემზარავი სიცრუე?!

უკანასკნელი ორასი წლის ისტორია მორწყულია უდანაშაულოთა სისხლით, მაგრამ არა მარტო მირონცხებული მეფეები შეიწირა გაცოფებულმა მასამ, და არა მხოლოდ კეთილშობილთა ბავშვები გახდნენ „დიადი იდეების" მსხვერპლნი, არამედ თავად ამ საშინელების განმახორციელებელი ხალხები ემსხვერპლნენ ამ სიცრუეს.

●

ილევა მეოცე საუკუნე, მიჯნაზეა მესამე ათასწლეული, გონდაკარგული კაცობრიობა მხოლოდ ახლა იწყებს ათეისტური ძილ-ბურანისაგან გამოღვიძებას და ამ პროცესს უკვე ვეღარავინ შეაჩერებს. რელიგიისაკენ, რწმენისაკენ დაბრუნება უცილობლად მიგვიყვანს მონარქიამდე. ღვთის დიდების განმახორციელებელ კანონიერ წარმომადგენლამდე. ამ პროცესს უფრო სულიერი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პოლიტიკური, რამეთუ ახლოსაა დიდი სამსჯავრო და მხოლოდ ღვთივკურთხეულ ტახტს შესწევს ძალა ერის ტოტალური განადგურებისაგან ხსნისა. სამეფო ტახტისადმი სიყვარული და ერთგულება, ღირსების კოდექსი, მაღალი ზნეობა და ღვთის ძალაუფლების ამქვეყნიური სიმბოლო თუ გვიხსნის ჩვენ მუდმივი შინააშლილობისაგან, პოლიტიკური ქიშპისაგან, დემოკრატიული ავადმყოფობის — ხელისუფლებისაკენ სწრაფვისაგან. ეს მისცემს ერს ცოცხალ დროშას, რომელიც გაუძღვება მას ახალი ათასწლეულისაკენ, რომელშიც არავითარ უწმინდურობას არა აქვს ადგილი!

ისტორია სპირალისებურად მოძრაობს. ახლა მთავრდება მორიგი წრე, ყველაფერი საწყის მდგომარეობას უბრუნდება და ის, რისი განმეორებაც ოდესღაც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, ახალი ძალით, გაახალგაზრდავებული გვიბრუნდება. უპირველესად ესაა რწმენა, ხოლო რწმენასთან ერთად — მონარქია.

დიდება უფალს!

**ლევან კილაძე,**
**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის დიდი საბჭოს წევრი.**

---

# ფოტოვერნისაჟი












ბადრი მაღაშკორიას ფოტოები

ფოტოვერნისაჟი

# ზღაპრის დასასრული



— ფანჯარა მაინც დატოვეთ ღია...

— გავიყინებით, ნუ ნაღვლობ, თოვლის პაპას ყველა ბინის გასაღები აქვს.

გოგიტა ერთხანს მდუმარედ შემყურებს, მერე ორივე ხელს ჯიბეში იყოფს და ოთახიდან დინჯად გადის. მომესმის მისი ხმა:

— სარკმელი მაინც დატოვეთ, ხელს შემოჰყოფს და კარს გააღებს...

არ დამიჯერა. ექვსი წლის ბიჭმა წარმოიდგინა გასაღებების სიმრავლე, მოცულობა, წონა და არ დამიჯერა.

როცა დაღამდება და ყველა ძილს მივეცემით, ვიცი მაინც ადგება, ცივ იატაკზე ტიტლიკანა ფეხებით გაივლის და ფანჯრის საკეტს გააღებს... კაცმა რომ თქვას მართალია. თოვლის პაპა ლაპლანდიიდან რაკეტით მოფრინდება, მეშვიდე სართულზე მდებარე ჩვენს ბინასთან ცის ხომალდს შეაჩერებს, უჩუმრად შემოვა და ნაძვის ხის ძირში საჩუქარს დასდებს. ამ დროს რაკეტის ძრავა ჩართულია, მაგრამ მისი ხმა იმიტომ არ ისმის, რომ საწვავი „თოვლისგანაა დამზადებული".

შარშან თოვლის პაპამ ორთვლიანი ველოსიპედი მოუტანა. ისე რომ მასთან გოგიტას დიდი ძმობა და სიყვარული აკავშირებს... არც პატარაა ვალში — შარშანდელ ახალი წლის ღამეს პლასტელინისაგან გაკეთებული „ცხენ-ბატკანი" დაუხვედრა ესოდენ სასურველ სტუმარს, რომელმაც თავისი კმაყოფილება ბარათით გამოუხატა — „ქვეყნის სასახელო გაიზარდეო..."

ახლა წარმოიდგინეთ, რა ფუსფუსში იქნებოდა გოგიტა, როცა შეიტყო, რომ საბავშვო ბაღში საახალწლო ზეიმი ეწყობოდა და თოვლის პაპა აუცილებლად მოვაო. თვითონ, თავის ხელით გაიპრიალა ფეხსაცმელი, ფერადი ძაფისაგან მოქსოვილი სვიტრი ჩაიცვა, შარვალიც შესაფერისი აირჩია და რაც მთავარია, მუყაოს ნაგლეჯზე ყვითელ-წითელი მზე დახატა — ეს ჩემი საჩუქარი იქნებაო.

როცა საბავშვო ბაღისკენ გზას დავადექით, გოგიტა ჩაფიქრებული მომეჩვენა.

— რა იყო, ბიჭო?

— საიდან იცის, რომ მე, მე ვარ...

მიუხვდი ფიქრის მიზეზს. დღემდე თოვლის პაპას პირისპირ არ შეხვედრია, არ გაუგია მისი ხმა, არ ჩაუხედავს ყველაზე კეთილ თვალებში. მათი პაემანი ყოველთვის ცალმხრივი იყო. თოვლის პაპა მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როცა გოგიტას ეძინა...

— თოვლის პაპა აბა რის პაპაა, რომ ყველას არ იცნობდეს — კატეგორიულად განვუცხადე.

იმ დღეს სამსახურში მოუსვენრად ვიყავი. სულერთავად ბიჭზე ვფიქრობდი. ნეტავ რა შთაბეჭდილებას მოახდენს-მეთქი საბავშვო ბაღის ერთ-ერთი თანამშრომლის მეუღლის ბატონ არჩილის მიერ განსახიერებული თოვლის პაპა, რა სიტყვებს ეტყვის, როგორ დალოცავს, რა ალერსით დაასაჩუქრებს...

დათქმულზე ადრე მივაკითხე. მოველოდი გაბრწყინებულ-გახარებულ ბავშვების სახეებს, მაგრამ ჩვეული სიწყნარე დამხვდა. მეტიც, გოგიტა უკვე ჩაცმული იყო და მელოდა.

მთელი გზა მდუმარედ მომდევდა. მივხვდი მის უმანკო სულში რაღაც საგანგებო მოხდა. შეკითხვას ვერ ვბედავდი. ბავშვს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ხმა რომ ამომეღო ატირდებოდა. მხოლოდ სახლში გაირკვა ყველაფერი. თურმე თოვლის პაპას არავისთვის არავითარი საჩუქარი არ მიუცია...

ერთი ხმელი გალეტი, ერთი მომწვანო მანდარინი და ერთი ჩვენებური, უღიმღამო ქაღალდში გახვეული კომფეტი არ აღმოაჩნდა იმ დალოცვილ, ყველაზე „კეთილ და გულუხვ" თოვლის პაპას და მასთან ერთად საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას. წამოსცდენოდათ, ვინ, რომელი მშობელი დაიშურებდა ამისათვის ფულს, ოღონდაც პატარის გულში სიკეთისა და გულუხვობის ნერგი არ განადგურებულიყო...

— არ ყოფილა თოვლის პაპა კარგი კაცი, — მითხრა გოგიტამ ძილის წინ.

ასე მიიღო პატარა ადამიანმა დიდებისაგან ტყუილის პირველი, ფრიად შთამბეჭდავი გაკვეთილი, ასე მწარედ დაუსრულეს ზღაპარი...

**სანდრო მამასახლისი**



გაზეთი „ახალი კარაბადინი" — ესაა საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი გამოცემა. იგი ჯერჯერობით ორი ნომერი გამოვიდა, რომელთაც სარედაქციო ჯგუფი მხოლოდ სარეკლამო ნომრებად თვლის და გვპირდება, რომ ახალი წლიდან თვეში ორჯერ მიიღებს ქართველი მკითხველი სამედიცინო გაზეთს.

საქართველოში სამედიცინო გაზეთი ადრეც (სულ ორი წლის განმავლობაში) გამოდიოდა, ახლანდელი გაზეთი ძველის ტრადიციებსაც გააგრძელებს და დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებზეც იტყვის თავის სიტყვას. ამის გარანტიას გვაძლევს ეს ორი სარეკლამო ნომერი, საინტერესო მასალებითა და მშვენიერი ტექნიკური გაფორმებით.

„ახალი კარაბადინი" ის გაზეთია, რომელიც დაგვეხმარება, ჩვენს გაჭირვებულ, თითქმის უსასოო ცხოვრებაში შევინარჩუნოთ სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, შემწედ ვექცეთ ძმას და მეგობარს.

## მიწურული ოთხმოციანი წლებისა ანუ საახალწლო სუფრა კრემლში (ნეომუხრანული)

კრემლის დიდ დარბაზში გაშლილია მდიდრული სუფრა:
ახალ წელს ხვდებიან (მექქსეს გარდაქმნის დაწყებიდან).
მასპინძლობს პრეზიდენტი — ბატონი (კომუნისტი უფრო):
— ტალონებს არ მიირთმევთ? ნახეთ ყალმით ნაწერია!
სტუმრებმა გადაიღეს ორი-სამი — სიტუაციის გაგებით.
მოხატულ ტალონებს აყოლებენ არაყიან ჭიქებს,
სამოკავშირეო ხელშეკრულებით (ძველზე არანაკლებით!)
მასპინძელი თანასუფრელებთან თავს ერთობ იქებს.
(ო... ეს კი აღარ ვარგა) პრეზიდენტმა ყელი მოიღერა სათქმელად,
დაიქინა — ყველანი კავშირში უნდა ვიყოთო,
არწმუნებს თავშეყრილთ — მე ვარო გარდამქმნელი,
ექსტრემისტებს არ აყვეთ, არავინ გაგაბრიყვოთო.
— აქ ამის ლაპარაკი, თუ ძმა ხარ, რა წესია!
— კაცო, საახალწლო სუფრაა და არა სესია!
აღშფოთდნენ შუაში მსხდომი დემოკრატები,
მიწი-მოწიეს პრეზიდენტის ეტრატები,
წამოაყენეს გარდამქმნელი, გაიყვანეს გვერდზე —
ქუდი მოუძებნეთ, ხვალ უცხოეთს მიდის, შინ დიდხანს ვერ ძლებს...
იმპერიას აკანკალებს, შეყრია ციება...
რაღა ეუცხოეთება, რაღა ეპრემიება!
ხითხითებს ელცინი:
— მაგას არ ვიცინი?!
— გასვლას მე გიჩვენებთ, — ცხარობს იაზოვი, —
მშვენივრად ვიციო, ვის რა მივაზომო!
მერე
უსაქონლო ტალონები გარეშემო ყრია,
მერე
უმაქნისი კანონები დასტად აწყვია,
მერე
ყველაფერ ამას საბაზრო ეკონომიკა ჰქვია...
და... რა თქმა უნდა,
ჰუმანური სოციალიზმიც იქვეა!

**თამაზ ებანოიძე**

# გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული სტატიის გამო

1990 წლის 26 დეკემბრის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ნომერში გამოქვეყნებული სტატია პირველივე სიტყვებიდან იწყება, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომებით. ნახსენებია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს იგი გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე.

ავტორს გამოაქვს მცდარი დასკვნები, ამტკიცებს რა, რომ ამ რეგიონში პოლიტიკურმა ტემპერატურამ დუღილს მიაღწია 1990 წლის 26 დეკემბერს. აქვე ისმება კითხვა. თუ პოლიტიკურმა ტემპერატურამ დუღილს არ მიაღწია ჯერ კიდევ 1990 წლის 11 ნოემბრამდე, მაშინ რატომ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ხელოვნურად შექმნილი ოლქი? ავტორი, რომელიც არ იცნობს საქართველოს ისტორიას,ამახინჯებს ფაქტებს, რომლებიც ეხება შიდა ქართლის, ესე იგი საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ხალხის ნაწილის ჩამოსახლებას.

ალანებს (ოსებს) მე-9-მე-13 საუკუნეებში ჰქონდათ ფეოდალური სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში. მე-9 საუკუნეში მონღოლთა და მე-13 საუკუნეში თემურლენგის შემოსევის შედეგად ამ სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა და ალანები ჩადასახლდნენ კავკასიის ხეობებში. მე-17-მე-18 საუკუნეებში მათი ნაწილი თანდათანობით გადმოდიოდა საქართველოს (შიდა ქართლის) ტერიტორიაზე, სადაც დამკვიდრდა კიდეც.

შემდეგ ავტორი გადადის 1843 წლის ამბებზე, როცა მეფის რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა ოსეთის ოლქი. ავტორი ტოვებს მთავარ ისტორიულ მომენტებს, კერძოდ, იმას, რომ პირველად მეფის რუსეთმა საქართველოს ანექსირება და ოკუპაცია მოახდინა 1801 წელს, რითაც დაარღვია ხელშეკრულება, ეგრეთ წოდებული „გეორგიევსკის ტრაქტატი", ორი სახელმწიფოს — რუსეთსა და საქართველოს შორის.

ავტორის მთელი ძალისხმევა მიზნად ისახავს იმას, რომ დაამტკიცოს, თითქოს 1922 წლის 20 აპრილს, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს სამხრეთ ოსეთის ოლქი შეიქმნა არა ხელოვნურად. ავტორს ეთნოკონფლიქტების მიზეზად უმართებულოდ მიაჩნია ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. პირიქით, მხოლოდ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გახდება საქართველოში ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილების ყველაზე მტკიცე გარანტი. საქართველოს, ჰქონდა რა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ტრადიციულად კეთილი ურთიერთობა ჰქონდა მთელ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მცირე ხალხთან.

ავტორი აყენებს „პატრონისა და სტუმრის" ახალ თეორიას: მიაჩნია რა იგი, ერთი მხრივ, აფხაზებსა და ქართველებს შორის, ხოლო მეორე მხრივ — ოსებსა და ქართველებს შორის დაძაბულობის მიზეზად. მას „ავიწყდება" კონფლიქტების ჭეშმარიტი მიზეზი — ქართველი ერის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. გარდა ამისა, არ შეიძლება ერთი კონტექსტით განვიხილოთ აფხაზი და ოსი მოსახლეობა. ოსები არ არიან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა. უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან საქართველოს მკვიდრი და არამკვიდრი მოსახლეობა. ძირეული მოსახლეობის უფლებანი ირღვეოდა ყველა დროში — მეფის რუსეთის იმპერიაშიც, საბჭოთა რუსეთშიც, განსაკუთრებით 1921 წლის 25 თებერვლიდან, როცა საქართველოს ანექსია და ოკუპაცია მეორედ მოახდინა უკვე საბჭოთა რუსეთმა.

სტატიაში აგრეთვე დამახინჯებულია 1989 წლის 23 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის არსიც, რომელიც მოაწყვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებმა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართველი ხალხის უფლებათა დასაცავად. არ ყოფილა არავითარი სისხლისღვრა, მშვიდობიანმა მანიფესტაციამ ასევე მშვიდობიანად დატოვა შიდა ქართლი.

საქართველოს ყოფილი ოფიციალური ხელმძღვანელობა ხელოვნურად ძაბავდა და ართულებდა სიტუაციას რეგიონში. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციისათვის.

რაც შეეხება 1990 წლის 20 სექტემბერს გამოცხადებულ დეკლარაციას ოსეთის სსრ სუვერენიტეტის შესახებ, ეს უკანონო აქტი მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. 1990 წლის 9 დეკემბერს მოწყობილი არჩევნებიც უკანონო იყო. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხრივ ოფიციალური გაფრთხილების (იგი გამოქვეყნდა პრესაში) მიუხედავად, ეს არჩევნები მაინც გაიმართა, რითაც შეიბღალა ამ რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უფლებები და ინტერესები.

ოს სეპარატისტებს ყურად რომ ეღოთ საქართველოს მთავრობის გაფრთხილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე არც დაისმებოდა საკითხი ხელოვნურად შექმნილი ავტონომიის გაუქმების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება, კანონიერი და სამართლიანი აქტი, ამ რეგიონში ქართველი მოსახლეობის უფლებათა დაცვისა და ქართველებსა და ოსებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის გარანტია.

ოს სეპარატისტთა მხრივ ექსცესების თავიდან ასაცილებლად გადაწყდა საკითხი ცხინვალში და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ. ავტორი ამახინჯებს ფაქტებსა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ შიდა ქართლში მყოფი სსრ კავშირის შინაგანი ჯარები იქ გაჩნდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საგანგებო წესების შესახებ. სინამდვილეში, სსრ კავშირის ჯარები ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე იმყოფებოდნენ. კანონით გათვალისწინებული იყო საქართველოს რესპუბლიკის მილიციის თანამოქმედება სსრ კავშირის შინაგან ჯარებთან საქართველოს კანონიერი მთავრობის კონტროლით. კონტროლი თავდაპირველად ვერ დაწესდა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტიური მოქმედების წყალობით ნეგატიური მოვლენები აღიკვეთა.

სტატიის ავტორი კ. ბოიალინოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნეიტრალური მოქმედება რეგიონში სტაბილიზაციის გარანტიაა. მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული „ნეიტრალური მოქმედება", პირიქით, შეიძლებოდა დამღუპველი აღმოჩენილიყო და გაახანგრძლივებდა კრიზისულ მდგომარეობას რეგიონში.

იმისათვის, რომ სახელი გაეტეხა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის და დაემშვიდებინა ცენტრი, საქართველოს სსრ ყოფილი ეგრეთ წოდებული „მთავრობა" ცდილობდა მოეხდინა საქართველოში ვითარების დესტაბილიზაცია. საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა იბრძვის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ესე იგი ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის, იბრძვის ქართველი ერის უფლებებისათვის.

მაშასადამე, ავტორი ცილისმწამებლურად უწოდებს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ექსტრემიზმს. განა შეიძლება ექსტრემიზმად ჩაითვალოს ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ქართველმა ხალხმა ხომ 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების შედეგად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც იბრძვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ბოიალინოვი სიცრუეზე დაყრდნობით ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მკითხველები და ტენდენციურად აშუქებს ამ რეგიონში მომხდარ ტრაგედიას.

საქმე ის არის, რომ ოსმა ექსტრემისტებმა მხეცურად მოკლეს რ. ურიდია და დ. ზარდიაშვილი, არა „მწვანეთა" პარტიის, არამედ სრულიად საქართველოს ფაუნისა და ფლორის დაცვის საზოგადოების წევრები. მოკლულებს, როგორც ამ საზოგადოების წევრებს, ჰქონდათ იარაღის ტარების ოფიციალური ნებართვა. ხოლო რაც შეეხება ავტომატებსა და სხვა სახეობათა იარაღს, ისინი ჰქონდათ იმათ, ვინც რ. ურიდია და დ. ზარდიაშვილი მოკლა.

ცილისწამების განგრძობაა ავტორის მიერ მოგდებული პროვოკაციული ჭორი თბილისსა და ცენტრს შორის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, იმის შესახებ, თითქოს სამხრეთ ოსეთის ოლქის სანაცვლოდ საქართველო ხელს მოაწერს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ეს აშკარა სიცრუეა. საქართველოს რესპუბლიკა ხელს არ მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში. ეს ოფიციალურად განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა აკაკი ასათიანმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

ასე რომ, ბატონო ბოიალინოვო, ისეთ ფაქიზ საკითხებზე, როგორიც ეროვნებათშორისი ურთიერთობაა, უნდა წეროთ კომპეტენტურად და ობიექტურად, ტენდენციოზურობა დამღუპველია, ხოლო ობიექტურობა სიმართლისა და სამართლიანობის გარანტია.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი. სს „საქართველო".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე

### ქართული სექტორი

**დღის სწავლების ფორმა.**

მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, ფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები, მეტეოროლოგია, გეოლოგიური აგეგმვა და ძებნა-ძიება, ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ხელოვნების ისტორია და თეორია, სამართლისმცოდნეობა, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, ქართული ენა და ლიტერატურა, დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, სემიტოლოგია, სპარსული ენა და ლიტერატურა, თურქული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა, არაბული ქვეყნების ისტორია, ირანის ისტორია, თურქეთის ისტორია, პოლიტიკური ეკონომიისა და საბაზრო ეკონომიკის თეორია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური კიბერნეტიკა, ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში, ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში.

**დღის და საღამოს სწავლების ფორმა.**

ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ჟურნალისტიკა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები, ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, სამოქალაქო მეურნეობაში, მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია.

**დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმა**

ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, წარმოების ეკონომიკა და მართვა, შრომის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ფასწარმოქმნა, ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში, სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა, არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა.

**დღის და დაუსწრებელი სწავლების ფორმა**

ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში, ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში.

**საღამოს სწავლების ფორმა**

ეკონომიკა და მართვა საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში.

შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

სპეციალობებზე: მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, გეოლოგიური აგეგმვა და ძებნა-ძიება, ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში, ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში, ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები, ეკონომიკური კიბერნეტიკა, ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში, ეკონომიკა და მართვა საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში, ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში — **მათემატიკა** (წერა, ზეპირი), **ფიზიკა** (წერა), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობებზე: ფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები — **ფიზიკა** (ზეპირი), **მათემატიკა** (წერა, ზეპირი), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობებზე: გეოგრაფია, მეტეოროლოგია — **მათემატიკა** (წერა, ზეპირი), **გეოგრაფია** (ზეპირი), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობებზე: ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, სამოქალაქო მეურნეობაში, სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა, არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა — **მათემატიკა** (წერა, ზეპირი), **ქიმია** (წერა), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობებზე: პოლიტიკური ეკონომიკისა და საბაზრო ეკონომიკის თეორია, მაკროეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, წარმოების ეკონომიკა და მართვა, შრომის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ფასწარმოქმნა, ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია — **მათემატიკა** (წერა), **გეოგრაფია** (წერა), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობაზე: ქიმია — **ქიმია** (ზეპირი), **მათემატიკა** (წერა), **ფიზიკა** (წერა), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობაზე: ბიოლოგია — **მათემატიკა** (წერა), **ქიმია** (წერა), **ბიოლოგია** (ზეპირი), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობაზე: ფსიქოლოგია — **მათემატიკა** (წერა), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა, ზეპირი), **უცხო ენა** (ზეპირი).

სპეციალობაზე: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები — **მათემატიკა** (წერა), **უცხო ენა** (ზეპირი), **გეოგრაფია** (წერა), **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობებზე: ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა — **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა, ზეპირი), **უცხო ენა** (ზეპირი), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი).

სპეციალობებზე: ფილოსოფია, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, სემიტოლოგია, სპარსული ენა და ლიტერატურა, თურქული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა, არაბული ქვეყნების ისტორია, ირანის ისტორია, თურქეთის ისტორია — **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა, ზეპირი), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი), **უცხო ენა ან რუსული ენა** (ზეპირი), — არჩევით.

სპეციალობაზე: ხელოვნების ისტორია და თეორია — **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა), **ხელოვნების ისტორია** (ზეპირი), **უცხო ენა** (ზეპირი), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი).

სპეციალობაზე: სამართლისმცოდნეობა **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა), **რუსული ან უცხო ენა** (ზეპირი) — არჩევით, **საქართველოს ისტორია** (ზეპირი), **სამართალმცოდნეობა** (ზეპირი).

სპეციალობაზე: საერთაშორისო სამართალი — **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა), **უცხო ენა** (ზეპირი), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი), **სამართლისმცოდნეობა** (ზეპირი).

სპეციალობაზე: საერთაშორისო ურთიერთობა — **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა), **უცხო ენა** (ზეპირი), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი), **გეოგრაფია** (წერა).

### რუსული სექტორი

**დღის სწავლების ფორმა**

გამოყენებითი მათემატიკა, ფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, რუსული ენა და ლიტერატურა, დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, იბერიულ-კავკასიური ენები.

**დღის და საღამოს სწავლების ფორმა**

რუსული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა.

**საღამოს სწავლების ფორმა**

სამართლისმცოდნეობა.

შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

სპეციალობაზე: გამოყენებითი მათემატიკა — **მათემატიკა** (წერა, ზეპირი), **ფიზიკა** (წერა), **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობაზე: ფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა — **ფიზიკა** (ზეპირი), **მათემატიკა** (წერა, ზეპირი), **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობებზე: რუსული ენა ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, იბერიულ-კავკასიური ენები, ჟურნალისტიკა — **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა, ზეპირი), **საქართველოს ისტორია ან სსრკ ისტორია** (ზეპირი) — არჩევით; **უცხო ენა** (ზეპირი).

სპეციალობაზე: სამართლისმცოდნეობა — **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა), **უცხო ენა** (ზეპირი), **სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია** (ზეპირი) — არჩევით, **სამართლისმცოდნეობა** (ზეპირი).

**შენიშვნა: გამოცდები ჩატარდება დისციპლინების ჩამოწერილის თანამიმდევრობით.**

**მიმღები კომისია**

---

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 1991 წლის მისაღები გამოცდების ხაზვის მეთოდური კომისიის**

## განცხადება

1. 1991 წლის თებერვალში გამოქვეყნდება სასწავლო მეთოდური ხასიათის ნაშრომი „მეთოდიკური მითითებები ხაზვაში", რომელიც განკუთვნილი იქნება 1991 წლის აბიტურიენტებისათვის;

2. 1991 წლის იანვარში ჩატარდება თბილისის (10. 01 91 წ.) და საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების (17. 01. 91 წ.) ყველა ტიპის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა თათბირ-სემინარი. სემინარები გაიხსნება დილის 10 საათზე გ. ნიკოლაძის სახელობის სალექციო დარბაზში (თბილისი, კოსტავას ქ. № 77, სტუ-ის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრა, VI სასწავლო კორპუსი, VIII სართული, № 800 დარბაზი). ორივე სემინარი მიეძღვნება ხაზვაში მისაღები გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული და მეთოდური საკითხების განხილვას.

3. 1991 წლის 3 იანვრიდან სტუ-ის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრაზე ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეებისა), 18-დან 20 საათამდე. მუშაობს ხაზვის საკონსულტაციო კაბინეტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს ემსახურება, როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი (ფოსტით) ფორმით.

კაბინეტის მისამართია: თბილისი, მ. კოსტავას ქ № 77, სტუ-ის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრა, ხაზვის საკონსულტაციო კაბინეტი.

4. 1991 წლის 1-ლი აპრილიდან 14 ივლისამდე დაგეგმილია ხაზვაში მასობრივი კონსულტაციების ჩატარება. საამისოდ დაინტერესებულმა პირებმა წინასწარ უნდა გაიარონ რეგისტრაცია ხაზვის ზემოაღნიშნულ საკონსულტაციო კაბინეტში, სადაც მოხდება საკონსულტაციო ჯგუფების დაკომპლექტება და სამეცადინო ცხრილების წინასწარი გაცნობა. კონსულტაციები ჩატარდება კვირაში სამჯერ. სამეცადინო დღეები და საათები დაინიშნება აბიტურიენტებთან შეთანხმებით.

---

# ღია წერილი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

ჩვენ, სამედიცინო ინსტიტუტის 1990 წლის მისაღებ გამოცდებზე ყველა საგამოცდო საგანში დადებითნიშნიანი აბიტურიენტები, რომლებიც 12 დღის განმავლობაში ვშიმშილობდით სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, ვწყვეტთ შიმშილობას და საჯაროდ ვაკეთებთ შემდეგ განცხადებას:

მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოთხოვნა სამეურნეო ანგარიშზე სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხვის თაობაზე სამართლიანია, ვინაიდან ყველა დადებითნიშნიანი აბიტურიენტი სწორედ სამეურნეო ანგარიშზე ჩაირიცხა რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენი საკითხის განხილვის პროცესში არაერთი შეხვედრა და საუბარი გვქონდა უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან, რომელნიც ამ საქმის ვითარებას დაწვრილებით გაეცნენ. მათი აზრით, ჩვენი ჩარიცხვა სამედიცინო ინსტიტუტში მიზანშეწონილია, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ყოფილი მთავრობის შეცდომისა და იმ დროს გამეფებული უსამართლობის, კორუფციისა და პროტექციონიზმის შედეგად შეიქმნა სიტუაცია, რომლის მსხვერპლნი ჩვენც აღმოვჩნდით. ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე 1989 წელს 2000-ზე მეტი მსმენელის ჩარიცხვამ მომდევნო პერიოდისათვის მნიშვნელოვნად შეამცირა მისაღები კონტინგენტი, რამაც ინსტიტუტში ჩვენი ჩარიცხვის პერსპექტივა უიმედო გახადა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზემოხსენებულ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ჩვენი ჩარიცხვა ინსტიტუტში მიაჩნიათ სამართლიანობის აღდგენად.

ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა ჭიანურდება 1990 წლის 8 ოქტომბრიდან. საკითხი ვერ (ან არ) გადაწყვიტა ვერც სამედიცინო ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ, ვერც რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ, ვერც უზენაესი საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ. ჩვენი აზრით, კომისიის მუშაობას ხელი შეუშალა რესპუბლიკაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ. ამ სიტუაციამ განაპირობა ის, რომ კომისიის წევრებმა ვერ მოახერხეს დოკუმენტურად შეემოწმებინათ, არის თუ არა ინსტიტუტში ჩვენი ჩარიცხვის საშუალება ამჟამად ან 1991 წლის 1 სექტემბრიდან.

რესპუბლიკის ტელევიზიისა და პრესის საშუალებით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი მოთხოვნები უსამართლოა და ვიყენებთ ძალადობის აქტებს ჩვენი მიზნების მისაღწევად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენი მოთხოვნის წამოყენების დღიდან ძალადობის არცერთი აქტი არ ჩაგვიდენია.

ამჟამად საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ ჩვენი საკითხის გადასაწყვეტად შექმნილია ახალი კომისია, ვიმედოვნებთ, რომ ამ კომისიის მიერ ჩვენი პრობლემა გადაწყდება ობიექტურად და სამართლიანად.

ვითვალისწინებთ რა იმ ვითარებას, რომ დღევანდელ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი ძალას არ იშურებენ დესტაბილიზაციის სხვადასხვა კერის შესაქმნელად, ჩვენ ვწყვეტთ შიმშილობას, რათა ჩვენი აქცია არ ჩაითვალოს საქართველოს ეროვნული პარლამენტის საწინააღმდეგო ქმედებად და იგი არ იქნას გამოყენებული საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის შემდგომი გაღრმავებისათვის.

ჩვენ მზადა ვართ, ჩვენი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ სწავლის დაწყებამდე ვიმსახუროთ საქართველოს თავისუფლებისა და ეკონომიკური ძლიერებისათვის საჭირო ნებისმიერ უბანზე, ხოლო გამომუშავებული სახსრები გადაირიცხოს ინსტიტუტის ფონდში.

ჩვენ გვჯერა, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ჩვენი პრობლემის დროულ და ობიექტურ გადაწყვეტას.

**დადებითნიშნიანი აბიტურიენტების სახელით:**

**ლევან კაკაბაძე, ზურა ბეროშვილი, ილია ბეგიაშვილი, დათო ადეიშვილი, რუსუდან ჭუმბურიძე, ია ზაკუტაშვილი, ლია ჯაში, მთვარისა ჯოხაძე, ქეთი ქერეტაშვილი, თამუნა ჯარიაშვილი, ქეთი რუბანოვი, ნინო ბეჟუაშვილი, თამარ წილოსანი, ნანა კაკაბაძე, შალვა შველიძე.**

---

# 6 თვე ნებისყოფის დაძაბვა და...

თქვენ უკვე შეგიძლიათ იმოქმედოთ საგარეო ბაზარზე, წარმართოთ იმპორტ-ექსპორტის ოპერაციები, აწარმოოთ მოლაპარაკება საზღვარგარეთელ პარტნიორთან...

თქვენ თავისუფლად მუშაობთ კომპიუტერთან, თამამად ლაპარაკობთ უცხო ენაზე. ხართ კომპეტენტური, ენერგიული, მიზანსწრაფული ბიზნესმენი...

მოკლედ

**თქვენ ხართ მენეჯერი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.**

თქვენი ნებისყოფა და თბილისის მენეჯერთა სკოლის მასწავლებელთა პროფესიონალიზმი საბაზრო ეკონომიკის, მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგის, ფინანსების, სამართლის, ხელმძღვანელობის ხელოვნების, ინფორმატიკის, უცხო ენების სფეროში, აგრეთვე სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენება განაპირობებს თქვენს წარმატებას ინტერ-ბიზნესში.

მსმენელთა ჩარიცხვა მოხდება უცხო ენასა და ზოგად განათლებაში ტესტირების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

აუცილებელი პირობაა გქონდეთ უმაღლესი განათლება. სწავლება ქართულ ენაზეა, წარმოებისგან მოწყვეტით. სასწავლებლად მიიღებიან პირები 40 წლის ასაკამდე არა ნაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟით. საჭიროების შემთხვევაში მსმენელი უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლით.

წარმატებით კურსდამთავრებულნი მიიღებენ მეორე უმაღლესი განათლების დიპლომს და საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში სტაჟირების შესაძლებლობას.

სწავლის ღირებულებაა 4500 მანეთი (გადახდა პირადად ან დაინტერესებული ორგანიზაციის საშუალებით) სწავლის ღირებულებაში არ შედის სტაჟირების საფასური.

საბუთების (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დიპლომის ასლი, საგარანტიო წერილი — მომართვა ორგანიზაციიდან, 3 ფოტოსურათი) მიღება იწარმოებს 20 იანვრამდე. გასაუბრება და ტესტირება გაიმართება 2-დან 27 იანვრამდე. სწავლა თებერვალში დაიწყება.

შეგიძლიათ დარეკოთ: 39-68-64; 39-44-57; 39-65-90.

**თბილისის მენეჯერთა სკოლა, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 40.**

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარი კასპაროვის ახალი აღზევება

გამარჯვება ყოველთვის სიხარულია. ალბათ, გარი კასპაროვმაც დიდად გაიხარა, მეოთხედ რომ მოიპოვა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ეს მოხდა ახალი წლის მიჯნაზე, 1990 წლის 31 დეკემბერს ქალაქ ლიონში (საფრანგეთი), სადაც მიმდინარეობდა ანატოლი კარპოვთან მისი მატჩის მეორე ნახევარი. ამ დღეს მან ყაიმით დაამთავრა 24-ე პარტია და მოიგო მატჩი ანგარიშით 12,5:11,5. მართალია, მინიმალური უპირატესობით სძლია მრისხანე მეტოქეს, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად...

ამბობენ, მსოფლიო პირველობის მატჩი მის მონაწილეებს სიცოცხლის ერთი წლის ფასად უღირთო. ასეა თუ არა, გულშემატკივარმა სიტყვაზე უნდა დაიჯეროს, მაგრამ ფაქტია — კასპაროვმა და კარპოვმა 85 დღე უმძიმეს საჭადრაკო ბრძოლაში გაატარეს. იგი დაიწყო ნიუ-იორკში (8 ოქტომბერი — 7 ნოემბერი) და დამთავრდა ლიონში (24 ნოემბერი — 31 დეკემბერი). გაითამაშეს ყველა დაგეგმილი 24 პარტია, ვიდრე ორთაბრძოლას წერტილი დაესვა. ამ მძაფრ სპორტულ-შემოქმედებით ჭიდილს მათ დიდი გონებრივი, სულიერი თუ, გნებავთ, ფიზიკური ენერგია შეალიეს. მათ არ დაუზოგავთ ერთმანეთი, მაქსიმალურად ართულებდნენ თამაშს და, მიუხედავად ამისა, ბოლომდე შეინარჩუნეს სალი აზრი და ბრძოლის წყურვილი.

აი, როგორ მიმდინარეობდა ეს განუმეორებელი შეხვედრა: პირველად კასპაროვი დაწინაურდა მე-2 პარტიის მოგების შემდეგ, მაგრამ ლიდერობა მხოლოდ მე-7 პარტიამდე შეინარჩუნა. ამ დღეს გაიმარჯვა კარპოვმა და მატჩის პირველი ნახევარი ნიუ-იორკში ყაიმით (6:6) დამთავრდა. უფრო მღელვარე და შედეგიანი აღმოჩნდა ორთაბრძოლის მეორე ნახევარი ლიონში. ზედიზედ სამი ყაიმის შემდეგ კასპაროვმა მოიგო მე-16 პარტია, მაგრამ კარპოვმა მყისვე აღადგინა თანაფარდობა მე-17 პარტიაში გამარჯვებით. კასპაროვი არ ცხრებოდა. მის მოზღვავებულ ენერგიას ვეღარ გადაელობა უკიდურესობამდე შეუპოვარი კარპოვი. კასპაროვმა ჯერ მე-18, მერე მე-20 პარტია მოიგო და ლიდერობაც გაიმტკიცა. ამაოდ დაშვრა კარპოვი. იგი მედგრად ეკვეთა ჩემპიონს 21-ე პარტიაში, მატერიალურ უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ 86-ე სვლაზე მაინც ყაიმს შეურიგდა. კასპაროვმა 22-ე პარტიაც ყაიმით დაასრულა და სანუკვარი 12 ქულის დაგროვებით კიდევ სამი წლით შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

თითქოს მიღწეულ იქნა მთავარი მიზანი, მაგრამ პაექრობა არ შეწყვეტილა. საქმე ისაა, რომ მეტოქეებს უნდა გადაეწყვიტათ დასაჯილდოებლად გამოყოფილი თანხის ბედი. გამოყოფილი კი იყო 4 მილიონ 100 ათასი შვეიცარიული ფრანკი, ანუ 3 მილიონი ამერიკული დოლარი. თუ მატჩი ყაიმით (12:12) დამთავრდებოდა ეს ფული შუაზე გაიყოფოდა, ამიტომ გასაგებია რატომ „იკლავდნენ თავს“ დიდოსტატები ორ დასკვნით პარტიაში.

23-ე პარტია კარპოვმა სწრაფად მოიგო, მაგრამ 24-ე პარტიაში ვერაფერი გააწყო. კასპაროვმა აიძულა იგი ყაიმს დასჯერებოდა. ასე რომ, ჯილდოს „ლომის წილი“ (1,5 მილიონი დოლარი) კასპაროვმა წაიღო, კარპოვმა კი 900 ათასი დოლარი. კასპაროვმა მიიღო აგრეთვე ერთ მილიონ დოლარად შეფასებული საგანგებო ჯილდო — ოქროს ნაკეთობა ზურგშექცეული ორი რუსული კ 1018 თეთრი და შავი ბრილიანტით, რომელიც ფრანგულმა ფირმამ „კორდოფმა“ დააწესა.

აი, ასეთი გახლდათ ამ მეტად მღელვარე ორთაბრძოლის ფინალი.

მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი გარი კასპაროვი დაიბადა 1963 წლის 13 აპრილს ბაქოში. 7 წლის იყო უმამოდ რომ დარჩა. აღზარდა დედამ, ინჟინერმა კლარა კასპაროვამ, რომელიც ამჟამადაც მისი მფარველი ანგელოზია. გარის ადრე აღმოაჩნდა ჭადრაკის დიდი ნიჭი. უკვე 10 წლისამ დიდად გაითქვა სახელი. წლების მანძილზე მისი მოძღვარი იყო მიხეილ ბოტვინიკი. გარიმ დაამთავრა აზერბაიჯანის უცხო ენათა ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით. მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში მონაწილეობს 1984 წლიდან. მატჩებში იგი მხოლოდ კარპოვს, იმდროინდელ ჩემპიონს და შემდეგ პრეტენდენტს, ხვდებოდა. მათი პირველი მატჩი (1984-1985 წ.წ.) შეწყვიტა ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა, როდესაც 48 პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 5:3 (40 ყაიმი) კარპოვის სასარგებლოდ, მეტოქეთა გადაღლის მიზეზით. შემდეგ კასპაროვმა მოიგო მეორე (1985 წ) — 13:11 და მესამე (1986 წ.) მატჩი — 12,5:11,5, ხოლო მეოთხე შეხვედრა (1987 წ.) ყაიმით (12:12) დასრულდა. კასპაროვი „მსოფლიოს თასის“ პირველი მფლობელია. იგი ხუთჯერ დაჯილდოვდა „ჭადრაკის ოსკარით“ (1982-1987 წწ.).

გარი კასპაროვის ახალ წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მის სეკუნდანტებს, რომელთა შორის ორი ქართველი მოჭადრაკეა — დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი და საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძე.

კასპაროვ-კარპოვის მატჩმა ბევრი შესძინა თამაშის თეორიას, გაამდიდრა სადებიუტო სისტემები, განსაკუთრებით პოპულარული დებიუტები ესპანური პარტია და ძველინდური დაცვა, დაგვანახა მამა-პაპათა თამაშის მრავალფეროვნება, სიღრმე, საჭადრაკო აზროვნების თანამედროვე დონე. ყველაფერი ეს ახლა ჭადრაკის სპეციალისტების, ისტორიკოსების კვლევის საგანი გახდება.

მატჩმა ბევრი სხვაც წარმოაჩინა, რამაც უკვე საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. პრესაში გამოქვეყნდა მოსაზრებანი, რომლებიც ფიდე-ს სჯა-განსჯის საგანი შეიქმნება. კერძოდ, საუბარია იმაზე სწორეა თუ არა კომპიუტერით სარგებლობა გადადებული პარტიების ანალიზის დროს, ანდა სეკუნდანტთა „გუნდების“ ყოლა? მაგალითად, მატჩის მთავარ არბიტრს ჰოლანდიელ გერტ გეისენს მიაჩნია, რომ სამი წლის შემდეგ ეს ჭადრაკის მოთამაშე მანქანები უფრო სანდო გახდებიან გადადებული პოზიციების ანალიზში და მაშინ რჩეულ მოჭადრაკეთა პაექრობა დაკარგავს თავის ხიბლსაო. ასევე ზედმეტად სთვლის იგი სეკუნდანტთა დიდი რაოდენობის საჭიროებას. ამ შემთხვევაში იკარგება მოჭადრაკის სახე, ბრძოლა „გუნდური“ ხდებაო. მისი აზრით, საჭიროა გაუქმდეს პარტიის გადადების წესი. პარტია იმავე დღეს უნდა მთავრდებოდესო. მაშინ უფრო რეალურად გამოჩნდება მოჭადრაკის შესაძლებლობები და ჭეშმარიტი ძალა.

მაშ ასე, დასრულდა კიდევ ერთი „საუკუნის მატჩი“. მხოლოდ 1993 წელს მოუწევს კასპაროვს ტიტულის დაცვა. მართალია, ჯერ უცნობია პრეტენდენტი, მაგრამ შესაძლოა, რომ იგი ისევ კარპოვი იყოს. უახლოეს ხანში უნდა მოეწყოს პრეტენდენტთა მერვედფინალური მატჩები (შვიდი მატჩი) რომლებშიც გამარჯვებულებს მეოთხედფინალურ შეხვედრებში კარპოვი შეუერთდება. 40 წლის კარპოვს. დიდად გამოცდილ დიდოსტატს, რეალური შანსი აქვს კვლავ ხელყოს ჭადრაკის მეფის ტახტი. ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს ესოდენ ხანგრძლივი მეტოქეობა, ორ დიდ მოჭადრაკის შორის, რომლის მოწმენი მათი თანამედროვენი ვართ.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**


## წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

საგამომცემლო კოოპერატივი „ლალი“ გაცნობებთ, რომ 1991-1994 წლებში გამომცემლობა „მერანთან“ ერთად გამოსცემს „საზღვარგარეთული დეტექტივის“ 10-ტომეულს, რომელიც მოიცავს ამ ჟანრის რჩეულ ნაწარმოებებს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე.

გამოსაცემი წიგნების უმრავლესობა ითარგმნება პირველად და უცნობია ქართველი მკითხველისათვის.

აბონემენტებზე ხელმოწერა იწარმოებს 1 იანვრიდან. დაინტერესებულ პირებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეუძლია მოგვმართონ კოოპერატივ ფირმა „ხიდს“ ტელ.: 98-58-09. სარაჯიშვილის ქ.№ 8

## ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესაძენად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

## ვიზების სათარგმნელად

მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის“ სერვის ბიუროს.

ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში.

უცხოეთში წამსვლელებს შეუძლიათ ჩვენთანვე მიიღონ შესაბამისი ანკეტები და ვიზების ქსეროასლები.

შეკვეთები მიიღება 10-დან 19 საათამდე ყოველდღე გარდა კვირისა.

მისამართი: საბურთალო, ონიაშვილის ქ. № 11 (გაგარინის მოედანთან). ტელეფ. 37-55-93.


## სიახლე

სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ბიოტრონის“ მეცნიერთა ჯგუფმა, თანამედროვე მეთოდიკის გამოყენებით დაამუშავა ინდივიდუალური ხმარების ფეხმძიმობის დამდგენი ტესტი, რომლის მაღალეფექტურობა აპრობაციამაც დაადასტურა. ტესტი ჩასახვიდან 10 დღის შემდეგ სწორი პასუხის გარანტიას იძლევა, ხმარებაში მარტივია და არ მოითხოვს სპეციალურ სამედიცინო მომზადებას. ანალოგიური ტესტებით უცხოეთში კარგა ხანია სარგებლობენ და მასზე დიდი მოთხოვნილებაა, რადგან სახლის პირობებში მისი გამოყენება მოსახერხებელია და ძვირფასი დროის ეკონომიის საშუალებას იძლევა. „ბიოტრონის“ მიერ წარმოებული ფეხმძიმობის დამდგენი ტესტი შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგ პარფიუმერულ მაღაზიებში: № 2 (მარჯანიშვილის მოედანი), № 88 (დავით აღმაშენებლის პრ. 120); № 95 (რუსთაველის პრ. 40); № 109 (თავისუფლების მოედანი); № 3, № 34 (ფილარმონიის წინ და კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელებში).

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი. საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „ფიროსმანის მეგობრები“, საქართველოს დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის ხელშემწყობი ფონდი „ბანკირი“ და ამერიკის შეერთებული შტატების ფირმა „ქოსთლაინ ლიმმითედ ინკორპორეითედი“ აცხადებენ მსმენელთა მიღებას.

## ბიზნესის უმაღლესი სკოლა

სწავლების ხანგრძლივობაა 4 თვე. პირველი სამი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესს წარმართავენ საქართველოს რესპუბლიკის, ხოლო მეოთხე თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების პროფესორები და ბიზნესმენები.

ბიზნესის უმაღლეს სკოლაში სწავლა მის კურსდამთავრებულთ და მათს ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს დაამყარონ პირდაპირი საგარეო ეკონომიკური კავშირები, შექმნან ერთობლივი საწარმოები, დადონ ხელშეკრულებები უცხოელ პარტნიორებთან კონტრაქტის ყველა კომერციული პირობის გათვალისწინებით. ჩამოაყალიბონ ფირმები, ასოციაციები, მცირე საწარმოები და სხვა კომერციული ორგანიზაციები, დამოუკიდებლად იმუშაონ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანასთან.

საქმიანი ურთიერთობებისათვის ინგლისური ენის ინტენსიური მეთოდებით სწავლა მსმენელებს საშუალებას მისცემს არა მარტო მოისმინონ ლექციები ამ ენაზე, არამედ აწარმოონ საქმიანი მოლაპარაკება და საქმიანი მიმოწერა.

სკოლის სამი საუკეთესო კურსდამთავრებული ორი კვირით გაიგზავნება სტაჟირებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატის სასწავლო ცენტრებსა და საწარმოებში, სადაც ისინი გაეცნობიან ამერიკულ საბანკო სისტემას, იაპონური კომპანიების „სონისა“ და „სანიოს“ ამერიკული ფილიალების საქმიანობას, მცირე ბიზნესის თავისებურებებს და ა. შ.

ბიზნესის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ ორ სერტიფიკატს. ერთ მათგანს გასცემს საქართველო, მეორეს ამერიკის შეერთებული შტატების მხარე.

ბიზნესის უმაღლეს სკოლაში მიიღებიან მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირები. სწავლა დაიწყება 1991 წლის 11 თებერვალს. სწავლების ღირებულებაა 3600 მან.

მსმენელთა ჩარიცხვა მოხდება 1991 წლის 18 იანვრამდე. ისინი გასაუბრებაზე უნდა გამოცხადდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში.

**(9 აპრილის (ყოფილი ჩიტაძის), ქ. № 6, ოთახი 206 ან 410; ტელ. 98-70-05; 93-78-07; 93-70-20.**


სახალხო მოხმარების საგნების კოოპერატივი „დელტა“ უშვებს ელშედუღების ნახევარ-ავტომატს $CO_2$-ის არეში, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოიყენონ ავტოშემკეთებლებმა ძარის შედუღებისას, აგრეთვე საზეინკლო სამუშაოების შესასრულებლად.

**ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. 13, კოოპერატივი „დელტა“, ტელეფონი: 71-87-80 ან 71-85-43.**

**კოოპერატივი** „სავანე“ ღებულობს შეკვეთებს საზეიმო და საახალწლო სუფრის ტორტების დასამზადებლად. არჩევანი მრავალფეროვანია. ტორტებს ამზადებენ ოჯახში, მაღალკვალიფიციური კულინარები. შეკვეთები მიიღება 2 დღით ადრე. მისამართი: ავჭალის გზატკეცილი 75 და 77-ს შორის მდებარე წითელი ჯიხური წარწერით „სავანე“. შეკვეთები მიიღება ყოველდღე, 9 საათიდან 18 საათამდე.


ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 10 იანვარს.


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზვითი კორპუსში, სხმარტულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 ვ. კოსტავას ქ. № 14.